

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნინო ორაგველიძე

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი

ასპექტები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარიამ ვარდიაშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019 წ.

## ანოტაცია

დღესდღეობით, არაერთი კომპანია მიმართავს საკუთარი აქტივების უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით კონსოლიდაციას, ანუ საწარმოთა გაერთიანებას. უპირველეს ყოვლისა, ამით ისინი ცდილობენ, სინერგიული ეფექტის მიღწევას, რაც გულისხმობს საწარმოთა გაერთიანების გზით უფრო მეტი შემოსავლებს მიღებას და ფინანსური სარგებლის ზრდას. სწორედ ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდაციის საკითხებს ეძღვნება სამაგისტრო ნაშრომი, სადაც განსაზღვრულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მომზადების პრინციპები ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საწარმო აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს.

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს საწარმოთა გაერთიანების პრინციპების განხილვას; გაერთიანების მიზეზების, მიზნებისა და შედეგების გაცნობას; გაერთიანების შემდგომ კი საწარმოთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი საკითხების გამოვლენას; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანტარტებთან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შედგენას.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია, თუ რა მიზნით ერთიანდება საწარმოები. წარმოდგენილია საწარმოთა გაერთიანების ტიპები და სახეები. გარდა ამისა, განხილულია საწარმოთა გაერთიანებისა და მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირება, შექმნის თარიღის განსაზღვრა, იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე არამაკონტროლებელი წილის, გუდვილისა და ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობების შეფასება-ადიარება.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შედგენის ძირითადი პრინციპები. კერძოდ, განხილულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება, მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება და ასევე ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება. ნაშრომში წარმოდგენილია მათი შედგენის მიზეზები, მიზნები და ის ძირითადი პრინციპები, თუ

როგორ უნდა მოხდეს ანგარიშგებების სამართლიანად და სრულფასოვნად მომზადება. ამ მიზნით, განხილულია შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი, შეძენილი გუდვილი, შიდაჯგუფური ოპერაციები, მათი ელიმინირების აუცილებლობის მიზეზები. ახსნილია, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს სათაო და შვილობილ საწარმოებს შორის შესრულებულმა სამეურნეო ოპერაციებმა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ასევე განხილულია, თუ როგორ არის შესაძლებელი თეორიის პრაქტიკაში გამოყენებით ფინანსური ანგარიშგებების შედგენა და საჭირო გაანგარიშებების ჩატარება.

## Anotation

Nino Oragvelidze

The Issues of Consolidated Financial Statements

Nowadays, many companies address consolidation, or merging of enterprises, to make their assets more efficient. First of all, they are trying to achieve a synergistic effect, which involves more revenue from enterprise mergers and increases financial benefits. The Master's thesis is dedicated to the consolidation of financial statements, where the principles of submission and preparation of consolidated financial statements are defined in cases when the enterprise monitors one or more other enterprises.

Master's thesis aims at reviewing the principles of enterprise mergers; Acquaintance with the reasons, goals and results of the association; After the merger, revealing the main issues of

preparation of consolidated financial statements of enterprises; Compilation of financial positions, profit-losses and consolidated reports of cash flows with international stats of financial reporting.

The work consists of two parts. The first section deals with the purpose of entering the enterprises. Forms and types of enterprise union are represented. Furthermore, the identification and recognition of the enterprise merchandise and the buyer, the determination of the acquisition date, the identification of the revenues received from identifying assets and liabilities as well as the non-controlling share, goodwill and favorable procurement.

he final part of the work presents the basic principles of compiling financial statements. In particular, the consolidated statement of financial position, consolidated statement of profit and loss and consolidated reporting of cash flows are discussed. The work presents the reasons, goals and basic principles of their drawing, how to make fair and fair preparation of the reports. For this purpose, the non-controlling share of the acquired enterprise, purchased goodwill, intra-company operations, and reasons for their elimination. Explains the effect on the impact of the financial operations between the head and subsidiary enterprises of individual and consolidated financial statements. It also discusses how to make financial statements and conduct calculations using theoretical practice.

## სარჩევი

შესავალი.....	6
თავი 1. საწარმოთა გაერთიანება.....	8
1.1. საწარმოთა გაერთიანება, მათი სახეები, ფორმები და მიზნები.....	8
1.2. საწარმოთა გაერთიანების ოპერაციის შემადგენელი ნაწილების დადგენა .....	12
თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება .....	28
2.1. კონტროლი, როგორც კონსოლიდაციის საფუძველი .....	32
2.2. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....	43
2.3. კონსოლიდირებული მოგება - ზარალის ანგარიშგება .....	60
2.4. კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....	72
დასკვნა.....	86
გამოყენებული ლიტერატურა .....	90

## შესავალი

ნებისმიერი ბიზნეს სუბიექტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება, მაგრამ როდესაც საქმე ეხება საწარმოთა ჯგუფს, თითოეული კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება არ იძლევა მთლიანი ჯგუფის მუშაობის შედეგების ობიექტურად ასახვის შესაძლებლობას. გაერთიანებულ საწარმოთა შედეგების ეფექტურად წარმოჩენისთვის საჭიროა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენა.

საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს საწარმოთა კონსოლიდაციის ტენდენციის ზრდა. ეკონომიკის გლობალიზაციის კვალდაკვალ და ბიზნეს პროცესების ინტეგრაციის პირობებში, ფართოდ იქნა გავრცელებული საწარმოთა ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებთან. ასეთი ურთიერთობების არსებობა საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს ურთიერთდაკავშირებული საწარმოთა ჯგუფი, როგორც ერთიანი ეკონომიკური ერთეული.

ყოველდღიურად საწარმოთა გაერთიანებისა და შერწყმის რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება. შერწყმის, შთანთქმისა და გაერთიანების ინსტიტუტის (The Institute of Mergers, Acquisitions and Alliances (IMAA)) სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2000 წლიდან დღემდე მსოფლიოში განხორციელდა 800,000-მდე შერწყმა და გაერთიანება, რომლის ჯამური ფულადი ღირებულებაც შეადგენს 57 ტრილიონ დოლარს.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველო პატარა ქვეყანაა, ისიც გამორჩევა სხვადასხვა დარგის კომპანიათა რიცხვით, რომლებიც ერთმანეთში სულ უფრო ხშირად ახორციელებენ გაერთიანების ოპერაციებს. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია საწარმოთა კონსოლიდაცია და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სწორად შედგენის საკითხები.

---

<sup>1</sup> Number & Value of M&A Worldwide, Statistics of The Institute for Mergers, Acquisitions and Alliances (IMAA), 2019.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თეორიული ასპექტებისა და შედგენის პროცედურების ამ მიზნიდან გამომდინარე ნაშრომის წინაშე დასმულია შემდეგი ამოცანები:

- შექმნის გზით საწარმოთა გაერთიანების განხილვა;
- საწარმოთა გაერთიანების ძირითადი მიზეზების დადგენა;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსისა და მნიშვნელობის გამოვლენა;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპებისა და მოთხოვნების განსაზღვრა.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კვლევის საგანი კი არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირების პროცესი, მისი თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეალიზება.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევა ეყრდნობა დიალექტიკურ მეთოდს, რომლის საფუძველზე ნაშრომში გამოყენებულია მეცნიერული აბსტრაქციის, ანალიზისა და სინთეზის, შედარებითი ანალიზის, თეორიული და პრაქტიკული მასალების განზოგადების ხერხები. კვლევა განხორციელდა სისტემური მიდგომით. კვლევის პროცესში გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ქართული და უცხოური თეორიული გამოკვლევები და პუბლიკაციები.

## თავი 1. საწარმოთა გაერთიანება

### 1.1. საწარმოთა გაერთიანება, მათი სახეები, ფორმები და მიზნები

ბიზნესის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ სისტემას. ეკონომიკურ სისტემაში იგულისხმება ზოგადი წესების ის ერთობლიობა, რომელსაც საზოგადოებრივი რესურსების განაწილების დროს იყენებენ. საზოგადოებრივი რესურსები ეს არის წარმოების ფაქტორები, რომლებიც ოთხ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი მოიცავს სასარგებლო წიაღისეულს, მიწას, წყალსა და ტყის რესურსებს. მეორე ფაქტორში ერთიანდება შრომა, ანუ ადამიანთა უნარი, აწარმოონ სხვადასხვა საქონელი და მომსახურება. მესამე ფაქტორთა ჯგუფი მოიცავს კაპიტალს, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება იყოს როგორც ფულადი (ყველა სახეობის ფულადი რესურსი), ასევე ნატურალურ-ნივთობრივი (ნაგებობები, შენობები, მანქანები და სხვა). წარმოების მეოთხე ფაქტორთა ჯგუფს მიეკუთვნება წარმოების უნარი. სწორედ მეწარმეები არიან ის ადამიანები, რომელთაც აქვთ უნარი რაციონალურად გამოიყენონ ყველა ჩამოთვლილი რესურსი.

ყოველი ეკონომიკური სისტემის საფუძველი ერთსა და იმავე ღირებულებებს ეყრდნობა: როგორ გამოვიყენოთ ჩვენ ხელთ არსებული შეზღუდული რესურსები; რა საქონელი და მომსახურება ვაწარმოოთ; ვინ უნდა აწარმოოს ის; როგორ გადავანაწილოთ წარმოებული საქონელი და მომსახურება. ამ კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის ტიპს.

კაცობრიობის განვითარებისა და ჩამოყალიბების ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმებში წარმოიშვა და განვითარდა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. მსოფლიოს ქვეყნები პრიორიტეტს სწორედ ეკონომიკური სისტემების ამ ტიპს ანიჭებენ, რაც ამ სისტემის ეკონომიკური განვითარებისა და თავისუფლების მაღალი დონით არის განპირობებული. საბაზრო ეკონომიკის დროს ბაზარზე მოქმედებს თვითრეგულირებადი „უხილავი ხელი“, რომელიც არეგულირებს საქონლისა და

მომსახურების წარმოებას საზოგადოებისათვის საჭირო რაოდენობით, სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ჩარევის ფარგლებში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიები თვითონ განკარგავენ საქმიანობას და მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები განსაზღვრავს მათსავე მარცხსა თუ წარმატებას. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ ის საქონელი და მომსახურება, რომელიც მათ სურთ და ამ არჩევანში ისინი თავისუფლები არიან. შესაბამისად, წარმატების მიღწევის მსურველი კომპანიები ცდილობენ თავიანთი საქმიანობა წარმატონ უკეთ, მათი დარგის სხვა კომპანიებთან შედარებით; აწარმოონ უკეთესი საქონელი და მომსახურება; საზოგადოებას მიაწოდონ ის უკეთეს ფასად და მოიზიდონ რაც შეიძლება მეტი მომხმარებელი. აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკა განაპირობებს სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას. კომპანიები უპირატესობის მოსაპოვებლად ერთვებიან რთულ კონკურენტულ ბრძოლაში, ცდილობენ ინოვაციები დანერგონ, მოიპოვონ მასშტაბის ეკონომია, შეამცირონ ხარჯები და მუდმივად ეძიონ გზები განვითარებისთვის, რათა მიაღწიონ თავიანთ რეალურ, საბოლოო მიზანს - მიიღონ რაც შეიძლება დიდი მოგება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის შესაძლებელი სხვადასხვა საწარმოთა გაერთიანებები. ნებისმიერ საწარმოს საქმიანობის წარსამართად სჭირდება რესურსები, თუმცა არსებობს ასევე ალტერნატიული შესაძლებლობა, რაშიც იგულისხმება უკვე ორგანიზებული რესურსების შექმნა, მთლიანი კომპანიის ან მისი ნაწილის შთანთქმა თუ შერწყმა.

საწარმოთა გაერთიანება განხილულია ფასს 3-ში - „საწარმოთა გაერთიანება“ (IFRS 3 – Business Combination). სტანდარტის მიხედვით, სამეურნეო ოპერაცია ან სხვა მოვლენა მხოლოდ მაშინ იდენტიფიცირდება საწარმოთა გაერთიანებად, თუკი შექმნილი აქტივები და აღებული ვალდებულებები ქმნიან საწარმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საწარმომ სამეურნეო ოპერაცია ან სხვა მოვლენა უნდა ასახოს, როგორც აქტივის შექმნა.

ფასს 3-ის მიხედვით, საწარმო არის საქმიანობებისა და აქტივების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსი, რომლის ფუნქციონირება და მართვა ხდება იმ მიზნით, რომ უშუალოდ ინვესტორებმა ან სხვა მესაკუთრეებმა, წევრებმა ან მონაწილეებმა მიიღონ შემოსავლები დივიდენდების, დანახარჯების შემცირების ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის სახით.<sup>2</sup>

საწარმო შედგება რესურსებისა და იმ პროცესებისაგან, რომლებიც გამოიყენება რესურსების პროდუქციად გარდასაქმნელად. თავის მხრივ რესურსი არის ის, რისგანაც ქმნიან პროდუქციას. პროცესი არის სისტემა, კონცეფცია, წესი, სტანდარტი ან პროტოკოლი, რომელთა გამოყენებით რესურსებისგან პროდუქცია მიიღება. პროდუქცია კი არის უკვე რესურსებზე პროცესების ზემოქმედების შედეგი, რომელსაც მოაქვს შემოსავალი ან მისი შექმნის უნარი გააჩნია.

საწარმოთა გაერთიანებაში რამდენიმე მხარე მონაწილეობს. ერთ-ერთი მხარე მყიდველი საწარმოა. ის არის სამეურნეო ერთეული, რომელიც ერთ ან მეტ შეძენილ საწარმოზე იღებს კონტროლს. გაერთიანების მეორე მხარე შეძენილი საწარმოა. ის არის საწარმო ან საწარმოთა ჯგუფი, რომელზე კონტროლს იღებს მყიდველი საწარმო. კონტროლში მოიაზრება საწარმოთა სამეურნეო თუ ფინანსური პოლიტიკის მართვის უფლება სარგებლის მიღების მიზნით.

საწარმოთა გაერთიანებას სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს:

1. გაერთიანების მონაწილე საწარმოები (ორი ან მეტი საწარმო) წყვეტენ თავიანთ იურიდიულ არსებობას და ყალიბდება სრულიად ახალი ეკონომიკური ერთეული, რომელიც გაერთიანების მონაწილე ყველა საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებს აკონტროლებს;
2. ერთი საწარმო ამყარებს კონტროლს მეორე საწარმოზე, რომელიც თავის მხრივ, წყვეტს დამოუკიდებლად არსებობას;

---

<sup>2</sup> ფასს 3 - "საწარმოთა გაერთიანება"

3. ერთი საწარმო ამყარებს კონტროლს მეორე საწარმოზე, თუმცა ეს უკანასკნელი არ წყვეტს არსებობას. ერთი საწარმო ყალიბდება, როგორც სათაო საწარმო, ხოლო მეორე - შვილობილი.

საწარმოთა გაერთიანებას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. გაერთიანების უმნიშვნელოვანესი მოტივია სინერგიული ეფექტი. სინერგიული ეფექტი გულისხმობს ორი ან ორზე მეტი საწარმოს სტრუქტურებისა და აქტივების ისეთ ურთიერთდამატებით ზემოქმედებას, რომლის ერთობლივი ეფექტი მნიშვნელოვნად აღემატება იმ შედეგს, რისი მიღწევაც ცალკეული კომპანიის ფუნქციონირების შედეგად იქნებოდა მიღწეული. სინერგიული ეფექტი შესაძლოა მივიღოთ შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე:

- წარმოების მასშტაბით გამოწვეული ეკონომია;
- გაზრდილი საბაზრო ძალაუფლება;
- ხარჯების შემცირება;
- დიდი რაოდენობით რესურსების მისაწვდომობა.

მასშტაბის ეკონომია მიიღწევა დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულების შესაძლებლობით იმავე საწარმოო ფაქტორების პირობებში, მომუშავეთა იმავე რაოდენობითა და მართვის იმავე სისტემებით, ასევე მუდმივი ხარჯების შემცირებით ერთ ერთეულ წარმოებულ პროდუქციასა თუ გაწეულ მომსახურებაზე.

საწარმოთა გაერთიანებისას მნიშვნელოვანია საბაზრო ძალაუფლების გაძლიერება. გაერთიანება ამცირებს დარგში კონკურენციას, კომპანიას კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას აძლევს და შესაბამისად, აძლიერებს კონცენტრაციასა და ძალაუფლებას.

ძალზედ მნიშვნელოვანია გაერთიანების შედეგად უფრო დიდი რაოდენობით რესურსების მისაწვდომობა. ერთ ფირმას შესაძლოა ჰყავდეს ცნობილი გამომგონებლები, ტექნოლოგები, პროგრამისტები, თუმცა არ ფლობდეს ცოდნის გამოყენების საშუალებებს. მეორე კომპანიას შესაძლოა ჰქონდეს გასაღების ეფექტიანი არხები, თუმცა არ ჰქონდეს შემოქმედებითი პოტენციალი. ასეთი კომპანიების გაერთიანებით შესაძლებელია

ჩამოყალიბდეს კომპანია, რომელსაც ხელთ წარმატებისათვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი ექნება.

გაერთიანების ტიპების მიხედვით გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს:

- ჰორიზონტალური - იმ კომპანიების გაერთიანება, რომლებიც ოპონირებენ ერთსა და იმავე დარგში, აწარმოებენ იდენტურ ან მსგავს საქონელს, ანდაც ახორციელებენ იდენტური ან მსგავსი მომსახურების მიწოდებას;
- ვერტიკალური - იმ კომპანიების გაერთიანება, რომლებიც ოპონირებენ სხვადასხვა დარგში, თუმცა საქონლის წარმოების ან მომსახურების გაწევისას იყენებენ ერთიან ტექნოლოგიურ პროცესს. ეს გულისხმობს კომპანიის გაერთიანებას მის მომწოდებლებსა და კლიენტებთან;
- კონგლომერატული - ერთი დარგის კომპანიების გაერთიანება სხვა დარგის იმ კომპანიებთან, რომლებიც არ არიან მათი არც მომწოდებლები და არც კლიენტები;
- ნათესაური - ურთიერთშემავსებელი საქონლის მწარმოებელი კომპანიების გაერთიანება;
- პროდუქტიული ხაზის გაფართოებით - ერთმანეთის მიმართ არაკონკურენტული, წარმოების პროცესით ან სარეალიზაციო არხებით ახლოს მყოფი პროდუქტების შეერთება;
- ბაზრის გაფართოებით - პროდუქტის სარეალიზაციოდ ახალი არხების შექმნა ახალ გეოგრაფიულ რეგიონში მსგავსი ან იდენტური პროდუქტის მწარმოებელ ან მომსახურების გამწევ კომპანიებთან.

## 1.2. საწარმოთა გაერთიანების ოპერაციის შემადგენელი ნაწილების დადგენა

საწარმოთა ყოველი გაერთიანება აისახება შექმნის მეთოდით, რისთვისაც საჭიროა:

- მოხდეს მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირება;
- განისაზღვროს შექმნის თარიღი;

- აღიარდეს და შეფასდეს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებული ვალდებულებები და შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი;
- აღიარდეს და შეფასდეს გუდვილი ან მიღებული შემოსულობები.

საწარმოთა გაერთიანებისას გაერთიანების მონაწილე სამეურნეო ერთეულებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს მყიდველს, რომელიც კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე. მყიდველი საწარმოს დასადგენად გამოიყენება ფასს 10, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ნათლად არ ჩანს არსებული სამეურნეო ერთეულებიდან რომელია მყიდველი საწარმო, მაშინ მყიდველის იდენტიფიცირებისათვის უნდა განვიხილოთ შემდეგი ხუთი ფაქტორი:

1. ფულადი სახსრების, სხვა აქტივების გადაცემის ან ვალდებულებების წარმოშობის გზით საწარმოთა გაერთიანებისას, მყიდველ საწარმოდ იდენტიფიცირდება ის საწარმო, რომელმაც მეორე საწარმოს გადასცა ფულადი სახსრები, სხვა აქტივები ან აიღო ვალდებულებები;
2. სააქციო წილების გაცვლით ჩამოყალიბებული საწარმოთა გაერთიანებისას მყიდველად ჩაითვლება ის სამეურნეო ერთეული, რომელიც გამოუშვებს თავის აქციებს. აქ გასათვალისწინებელია უკუშესყიდვა, რომლის დროსაც ემიტენტი სამეურნეო ერთეული იდენტიფიცირებულია, როგორც შეძენილი. ამის მაგალითია კერძო სამეურნეო ერთეული, რომელსაც სურს საჯარო გახდეს, თუმცა არ უნდა თავისი აქციების დარეგისტრირება. ამის გამო, ის აქციებს მიყიდის კოტირებულ სამეურნეო ერთეულს სანაცვლოდ კი ის სააქციო წილს იღებს. შესაბამისად, კოტირებული სამეურნეო ერთეული გვევლინება, როგორც მყიდველი საწარმო, ხოლო კერძო სამეურნეო ერთეული გვევლინება, როგორც შეძენილი.

უკუშესყიდვის შემდეგ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნდება იურიდიული სათაო საწარმოს სახელით, მაგრამ შენიშვნებში დახასიათებული იქნება როგორც სააღრიცხო მყიდველი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების გაგრძელება და დართული იქნება სააღრიცხო მყიდველი საწარმოს იურიდიული კაპიტალის კორექტირება, რათა აისახოს სააღრიცხო შეძენილი საწარმოს იურიდიული კაპიტალი.

უკუშესყიდვისას იურიდიული შექმნილი საწარმოს ზოგიერთმა მესაკუთრემ შეიძლება თავისი სააქციო წილი არ გაცვალოს იურიდიული სათავო საწარმოს სააქციო წილზე. ასეთი მესაკუთრეები უკუშესყიდვის შემდეგ მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება როგორც არამაკონტროლებელი წილი. ამის მიზეზი ის არის, რომ იურიდიული შექმნილი საწარმოს ის მესაკუთრეები, რომლებიც თავიანთ სააქციო წილს არ ცვლიან იურიდიული მყიდველი საწარმოს სააქციო წილზე, დაინტერესებულნი არიან მხოლოდ იურიდიული შექმნილი საწარმოს წმინდა აქტივებით და არა გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის კაპიტალით;

3. მყიდველად იდენტიფიცირდება ის სამეურნეო ერთეული, რომელიც გაცილებით უფრო დიდია. სიდიდე შეიძლება გამოსახული იყოს ამონაგებით, მოგებით ან აქტივებით;
4. მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირების პროცესში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ერთეულების სიდიდე, არამედ ისიც, თუ რომელი სამეურნეო ერთეული იყო გაერთიანების ინიციატორი;
5. შესაძლოა საწარმოთა გაერთიანებისთვის ფორმირებული ახალი სამეურნეო ერთეული არ იყოს მყიდველი. თუ მსგავსი ახალი სამეურნეო ერთეული ფორმირებულია გაერთიანებისათვის საჭირო სააქციო წილის გამოსაშვებად, მაშინ მყიდველად უნდა იდენტიფიცირდეს ერთ-ერთი სამეურნეო ერთეული, რომელიც გაერთიანებამდეც არსებობდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი სამეურნეო ერთეული იღებს ვალდებულებებს, გადასცემს ფულად სახსრებს ან სხვა აქტივებს კომპენსაციის სახით, შეიძლება იდენტიფიცირდეს მყიდველ საწარმოდ.

მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირების შემდეგ, საჭიროა დადგინდეს შექმნის თარიღი. შექმნის თარიღი გარიგების დახურვის თარიღია, როდისდანაც მყიდველი საწარმო შექმნილ საწარმოს იურიდიულად გადასცემს კომპენსაციას, იძენს მის აქტივებს, იღებს მის ვალდებულებებს და საბოლოოდ ამყარებს მასზე კონტროლს. შესაძლებელია, მყიდველმა საწარმომ გარიგების დახურვის თარიღამდე აიღოს კონტროლი. ამის

მაგალითია წერილობითი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, მყიდველ საწარმოს უფლება აქვს მიიღოს კონტროლის უფლება შეძენილ საწარმოზე გარიგების დახურვის თარიღამდე.

ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭო მიიჩნევდა, რომ მყიდველი საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების ზუსტად და სამართლიანად წარსადგენად, მყიდველმა საწარმომ საწარმოთა ყველა გაერთიანება უნდა ასახოს შეძენის დღეს. საბოლოოდ, გონივრული მსჯელობის საფუძველზე, მიღებულ იქნა დასკვნა, რომ თუ შეძენის თარიღსა და აქტივების გადაცემის თარიღს შორის სხვაობა არ გამოიწვევს არსებითი უზუსტობის რისკს ფინანსური ანგარიშგებების მომზადების კუთხით და არ გამოიწვევს ანგარიშგებების მომხმარებელთა დაზიანებას, დაშვებულ იქნას გამონაკლისი თარიღის ლავირებასთან დაკავშირებით.

შეძენის თარიღიდან მყიდველმა საწარმომ უნდა აღიაროს და რეალური ღირებულებით შეაფასოს იდენტიფიცირებადი აქტივები, აღებული ვალდებულებები და საწარმოს არამაკონტროლებელი წილი, გუდვილისაგან განცალკევებით. საამისოდ უნდა დაკმაყოფილდეს გარკვეული პირობები:

1. შეძენილი აქტივები და აღებული ვალდებულებები უნდა აკმაყოფილებდეს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების მიხედვით აქტივებისა და ვალდებულებების განმარტებებს:
  - აქტივი - წარსული ეკონომიკური მოვლენების შედეგი, რომლის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი და რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა;
  - ვალდებულება - წარსული ეკონომიკური მოვლენის შედეგი, რომლის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი და რომლის დაფარვა მომავალში გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის გასვლას.
2. შეძენილი აქტივები და აღებული ვალდებულებები უნდა იყოს იმის ნაწილი, რაც მყიდველისა და შეძენილი საწარმოების მიერ საწარმოთა გაერთიანების დროს გაიცვალა და არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე გარეშე განცალკევებული

სამეურნეო ოპერაციის შედეგს. გაერთიანების თითოეული კომპონენტი უნდა აღიარდეს მისი ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე.

შემქნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შეფასება უნდა მოხდეს შემქნის თარიღისთვის არსებული რეალური ღირებულებით. ამასთან, მყიდველ საწარმოს შესაძლებელია მოუწიოს ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებაც, რომელიც შემქნამდე აქტივებად და ვალდებულებებად აღიარებული არ იყო შემქნილი საწარმოს მიერ. ამის მაგალითია, საფირმო ნიშანი, რომელიც თავის დროზე შემქნილმა საწარმომ თვითონ შექმნა და მასთან დაკავშირებული დანახარჯები პირდაპირ ხარჯებს მიაკუთვნა.

აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად, გამოვლენილ და ასახულ იქნეს პირობითი ვალდებულებები. ბასს 37 პირობითი ვალდებულებას განისაზღვრავს, როგორც:

- ა) შესაძლო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და რომლის არსებობაც დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან
- ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:
  - (i) მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოდან რესურსებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა; ან
  - (ii) (ii) შეუძლებელია ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება.<sup>3</sup>

---

<sup>3</sup> ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“;

მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისთვის უნდა აღიაროს ის პირობითი ვალდებულებები, რომელიც წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად წარმოშობილი მიმდინარე ვალდებულებაა და რომლის ღირებულება შესასძლოა შეფასდეს საიმედოდ.

მყიდველი საწარმოს მიერ აღიარებასა და შეფასებას ექვემდებარება შეძენილი აქტივებისა და აღებული ვალდებულებებისაგან წარმოშობილი საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება, ასევე დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებული ვალდებულებები.

არის შემთხვევები, როდესაც შეძენილი საწარმო მყიდველს გადასცემს გარანტიას იმ სავარაუდო ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც გაუთვალისწინებელი ან გაურკვეველი გარემოებების შედეგად შეიძლება იქნეს გამოწვეული. დაზღვევა შეიძლება შეეხოს კონკრეტულ აქტივს ან ვალდებულებების წინასწარ განსაზღვრულ ნაწილს. მაგალითად, სხვადასხვა მოვლენების შედეგად, შესაძლოა, მყიდველმა მიიღოს წინასწარდადგენილ თანხაზე მეტი დანაკარგი. ასეთი შემთხვევებისგან თავის აცილების მიზნით, მყიდველი შეიძენს საგარანტიო აქტივს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ საწარმოს გარკვეული ვალდებულებები წინასწარ დადგენილი თანხის საზღვრებში იქნება. მყიდველმა საგარანტიო აქტივი უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, რელური ღირებულებით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც გარანტია დაკავშირებულია შეძენის თარიღისათვის არ აღიარებულ პირობით ვალდებულებასთან და მისი საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

საწარმოთა გაერთიანებისას მყიდველმა საწარმომ არ უნდა აღიაროს ის აქტივები და ვალდებულებები, რომლების დაკავშირებულია საოპერაციო იჯარასთან. თავის მხრივ, საოპერაციო იჯარა არის ისეთი იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად, ანუ არ გულისხმობს აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და ეკონომიკური სარგებლის მოიჯარეზე გადაცემას. საოპერაციო იჯარა შეიძლება აღიარდეს მხოლოდ რამდენიმე ცალკეულ შემთხვევაში. თუკი მყიდველი განსაზღვრავს, რომ საოპერაციო იჯარის პირობები მისაღებია საბაზრო პირობებთან

შედარებით, მაშინ მყიდველი საწარმო აღიარებს არამატერიალურ აქტივს, ხოლო თუ მიუღებელია - აღიარებს ვალდებულებას. შესაძლებელია საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული იყოს იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივი და ბაზრის მონაწილეები გამოთქვამდნენ სურვილს, გადაიხადონ იჯარის ფასი მაშინაც, თუკი ის არის საბაზრო პირობების იდენტური.

მყიდველმა საწარმომ გუდვილისაგან განცალკევებით უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივი ეს არის ფიზიკური ფორმის არმქონე არაფულადი აქტივი. ის ჩაითვლება იდენტიფიცირებად, თუკი შეუძლია დააკმაყოფილოს განცალკევების, ანდაც სახელშეკრულებო-იურიდიული კრიტერიუმები. იდენტიფიცირებადია ისეთი არამატერიალური აქტივებიც, რომელთა გადაცემა ან გამოცალკევებაც შესაძლებელია შექმნილი საწარმოდან. თავის მხრივ, გამოცალკევება ნიშნავს, რომ შესაძლებელია შექმნილი არამატერიალური აქტივის გაყიდვა, იჯარით გაცემა, გაცვლა. იმ შემთხვევაში, როდესაც არამატერიალური აქტივი არ განცალკევდება შექმნილი საწარმოსგან, მაინც აკმაყოფილებს განცალკევების კრიტერიუმებს, თუკი მისი განცალკევება შესაძლებელია სხვა აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად.

საწარმოთა გაერთიანებისას მყიდველ საწარმოს შეუძლია გამოისყიდოს შექმნილი საწარმოსაგან მისთვის შექმნილად გადაცემული უფლება, რომელიც შექმნილ საწარმოს შესაძლებლობას აძლევდა მყიდველი საწარმოს ერთი ან მეტი აქტივი გამოეყენებინა. ეს უფლება შეიძლება იყოს, მაგალითად, სალიცენზიო შეთანხმება ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, ფრანშიზი საფირმო სახელწოდების შესახებ და სხვა.

საწარმოთა გაერთიანებისას ცალკე აღირიცხება საწარმოს არამაკონტროლებელი წილი. ეს არის შექმნილი საწარმოს ის წილი, რომელიც შექმნის თარიღისთვის მყიდველ საწარმოს არ ეკუთვნის, შესაბამისად, არამაკონტროლებელი წილი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მყიდველი არ ყიდულობს საწარმოს კაპიტალის 100%-ს.

არამაკონტროლებელი წილი შესაძლოა შეფასდეს ორი მეთოდით:

- 1) შეძენის თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით;
- 2) შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

იმ შემთხვევაში, თუკი რეალური ღირებულების გამოთვლის საფუძვლად გამოყენებულია ერთი აქციის რეალური ღირებულის მეთოდი, მყიდველი საწარმოს წილის რეალური ღირებულება არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულებისაგან განსხვავებული შეიძლება იყოს. ამ განსხვავების ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს კონტროლის პრემიის არსებობა მყიდველი საწარმოს წილსა და არამაკონტროლებელ წილში - მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული კომპენსაცია როგორც წესი, შეიძლება შეიცავდეს პრემიას კონტროლისათვის ანდაც პირიქით, ფასდაკლებას კონტროლის ნაკლებობისათვის.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება მთლიანი ჯგუფის აქტივები, ე.ი. არა მხოლოდ მყიდველი საწარმოს კუთვნილებაში მყოფი აქტივები, არამედ ის არამაკონტროლებელი წილიც, რომელსაც აკონტროლებს მყიდველი, თუმცა მას არ ეკუთვნის.

აუცილებელია, მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისთვის შეფასებული გუდვილი აღიაროს, როგორც ნამეტი შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულებასა და საწარმოს შესაძენად გაწეულ ჯამურ მაჩვენებლებს შორის. ჯამური მაჩვენებლები მოიცავს შემდეგ სიდიდეებს:

- შეძენის თარიღისთვის რეალური ღირებულებით შეფასებული შეძენილი საწარმოსათვის გადაცემული კომპენსაცია;
- არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში;
- შეძენამდე მყიდველი საწარმოს მიერ კუთვნილი სააქციო წილი შეძენილ საწარმოში.

გუდვილი არის დამოუკიდებელი საბაზრო ღირებულების არმქონე აქტივი, რომელიც წარმოადგენს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ის არის ისეთი აქტივების ერთობლიობა, რომლის საწარმოდან განცალკევება ვერ მოხდება და რომელთა ცალკე

აქტივად აღიარება თუ იდენტიფიცირება შეუძლებელია. გუდვილთან დაკავშირებულია ბიზნესის უპირატესობა ბაზარზე. ის შეიძლება მოიცავდეს რეპუტაციას, საწარმოს პრესტიჟს, კონტრაგენტებთან კავშირებს და სხვა.

გუდვილი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. გუდვილი დადებითია იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდული საწარმოს საინვესტიციო ღირებულება აღემატება ამ საწარმოს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულების ზევით გადახდილი თანხა განიხილება, როგორც ფასნამატი, რომელიც ცალსახად უკავშირდება საწარმოს მაღალ რეპუტაციას, ანუ გუდვილს და რომელსაც მყიდველი იხდის სწორედ მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების იმედით. დადებითი გუდვილი:

- კაპიტალიზდება, როგორც არამატერიალური აქტივი;
- ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე;
- არ არის დაშვებული გუდვილის ამორტიზაცია.

გუდვილი უარყოფითია მაშინ, როდესაც შესყიდული საწარმოს ღირებულება დაბალია შესყიდული საწარმოს აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე. ბუღალტრული აღრიცხვისთვის, სხვაობის ეს თანხა ოპერაციის დასრულებისთანავე უნდა აღიარდეს ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფასს 3-ის მიხედვით, ეს თანხა არ მოიხსენიება უარყოფით გუდვილად, თუმცა თვითონ ტერმინი საყოველთაოდ გავრცელებულია.

ყველაზე ხშირად, უარყოფითი გუდვილის წარმოქმნა მოსალოდნელია, როცა აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება არასწორად არის შეფასებული. უარყოფითი გუდვილი საჭიროა, რომ პირდაპირ აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ისეთი მუხლების ღირებულება, რომლებიც შეძენის თარიღისთვის არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მიეკუთვნება გუდვილს. ასევე, გუდვილს მიეკუთვნება შეძენის თარიღისათვის არაიდენტიფიცირებადი არამატერიალური

აქტივების ღირებულებაც. ამის მაგალითიდა, ინტელექტუალური კაპიტალი, სპეციალიზებული ცოდნა და გამოცდილება. ისინი არ იდენტიფიცირდება აქტივად, ამიტომ მათი ღირებულება მთლიანად მიეკუთვნება გუდვილს.

გუდვილი უნდა შეფასდეს შეძენის თარიღით აღიარებული თანხით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

გუდვილი გააჩნია ყოველ წარმატებულ საწარმოს, თუმცა თუკი საწარმოს მესაკუთრე არ შეცვლილა, გუდვილი არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან მისი ღირებულების განსაზღვრისთვის არ მომხდარა არანაირი მოვლენა. ამგავრ გუდვილს მემკვიდრეობითი ეწოდება. მას შემდეგ, რაც მოხდება საწარმოს მესაკუთრის ცვლილება საწარმოს შეძენით, მყიდველი საწარმო შეიძენს გუდვილსაც და ამგვარი შეძენილი გუდვილი უკვე აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

გუდვილის გაანგარშებისას მყიდველმა საწარმომ აუცილებელია შემდეგი სამი ფაქტორი გაითვალისწინოს:

- 1) კომპენსაციის მეტისმეტად მაღალი შეფასების გამოსარიცხად, გაცემული კომპენსაცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით;
- 2) შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები უნდა აღიარდეს არა საბალანსო, არამედ რეალური ღირებულებით;
- 3) შეძენილი იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები უნდა აღიარდეს განცალკევებულად და არ მოხდეს მათი მიკუთვნება გუდვილის თანხაზე.

გუდვილის გაანგარიშება შესაძლებელია ორი მეთოდით:

- 1) პროპორციული მეთოდით;
- 2) სრული გუდვილის მეთოდით.

პროპორციულობის მეთოდით გუდვილის გაანგარიშებისას გაითვალისწინება მხოლოდ მყიდველი საწარმოს მიერ შეძენილი გუდვილის ნაწილი, ხოლო გუდვილის ის

დანარჩენი ნაწილი, რომელიც მყიდველი საწარმოს მიერ არ არის შექმნილი, არ აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სრული გუდვილის მეთოდის მიხედვით, გაითვალისწინება მთლიანი ჯგუფის გუდვილი, ანუ გუდვილის ასივე პროცენტი.

ბასს 36 – „აქტივების გაუფასურება“ განმარტავს, რომ გუდვილი არ ამორტიზირდება. გუდვილის არსიდან გამომდინარე მისი მომსახურების ვადის განსაზღვრა ყოველთვის სუბიექტური მიდგომით ხასიათდებოდა და ბაზარზე არსებული მწვავე კონკურენციის პირობებში ძნელია მისი მომსახურების ვადის ხანგრძლივობის ობიექტურად განსაზღვრა. ამის გამო, გუდვილი ყოველწლიურად გადის ტესტირებას გაუფასურებაზე, მიუხედავად გაუფასურების ნიშნების არსებობისა. გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი უნდა აისახოს საწარმოს ფინანსურ შედეგზე. გაუფასურებაზე შემოწმებისათვის ხდება გუდვილის განაწილება ჯგუფის ფულის მომტან ერთეულებზე ან მათ ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ სარგებელს მიიღებენ კომბინაციის სინერჯის შემდეგ. ფულის მომტანი ერთეულები წარმოადგენენ ჯგუფის ყველაზე დაბალ დონეს, სადაც გუდვილის მონიტორინგი ხდება მენეჯმენტის მიერ და რომელიც სეგმენტს არ აღემატება ზომით. ფულადი სახსრების მომტანი ერთეული, რომელზეც მოხდა გუდვილის განაწილება, გაუფასურებაზე მოწმდება ყოველწლიურად. თუ ერთეულის აღდგენადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, ამ ერთეულზე განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით, იგივე ოდენობით, შემდეგ, პროპორციულად მცირდება ამ ერთეულის სხვა აქტივები, მათი საბალანსო ღირებულების მიხედვით. გუდვილის გაუფასურების ზარალი აისახება პირდაპირ მოგება-ზარალში. გუდვილზე აღიარებული გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ აღდგება.

ისეთ შემთხვევაში, თუ შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება არის მეტი ჯამურ მაჩვენებლებზე, მყიდველი საწარმო აწარმოებს ხელსაყრელ შესყიდვას. მიღებული გადამეტება აღიარდება

ხელსაყრელი შესყიდვით მიღებულ შემოსულობად, მაშინ, როცა მყიდველი საწარმო ახლიდან განიხილავს, რამდენად სწორად განსაზღვრა შეძენილი აქტივები და ვალდებულებები, არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში, გადაცემული კომპენსაცია და ადრე მყიდველი საწარმოს კუთვნილებაში მყოფი სააქციო წილი შეძენილ საწარმოში.

საწარმოთა გაერთიანება რამდენიმე გზით შეიძლება მოხდეს. მათგან ერთ-ერთი კომპენსაციის გადაცემის გარეშე გაერთიანებაა. ამ შემთხვევაში, მყიდველი საწარმო კომპენსაციის გარეშე იღებს კონტროლს შეძენილ საწარმოზე, მაგალითად, საწარმოები შეიძლება გაერთიანდნენ ხელშეკრულების საფუძველზე, შერწყმის შეთანხმებით.

გაერთიანება შესაძლოა მოხდეს ეტაპობრივად. ეტაპობრივი გაერთიანების მაგალითია საწარმო „ა“, რომელიც უკვე ფლობს საწარმო „ბ“-ს სააქციო წილის 27%-ს და დამატებით იძენს მის კიდევ 43% სააქციო წილს, რაც საწარმო „ბ“-ზე კონტროლის საშუალებას აძლევს.

შემენის გზით საწარმოთა გაერთიანებისას მყიდველი საწარმო შეძენილს გადასცემს კომპენსაციას. კომპენსაცია რეალური ღირებულებით გამოთვლილი სიდიდეა, რომელიც წარმოადგენს მყიდველი საწარმოს მიერ გაცემული აქტივების, აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის ჯამს. ის შეიძლება მოიცავდეს ფულად სახსრებს, მყიდველი საწარმოს შვილობილ საწარმოს, პირობით კომპენსაციას, ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ წილობრივ ინსტრუმენტებს, ოფციონებს და სხვა აქტივებს.

გაცემული კომპენსაცია მყიდველის ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს შესაძლოა მოიცავდეს, რომელთა საბალანსო ღირებულება განსხვავებულია შეძენის თარიღისას მათი რეალური ღირებულებისაგან. ასეთი შემთხვევის დროს, აუცილებელია, რომ მყიდველმა გადააფასოს გაცემული აქტივები და ვალდებულებები შეძენის თარიღისას არსებულ რეალურ ღირებულებამდე. შეფასების შედეგად გამოვლენილი სხვაობის შემთხვევაში, ის უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც იყოს, როდესაც

გაცემული აქტივები და ვალდებულებები კვლავაც მყიდველი საწარმოს კონტროლ ქვეშ იყოს, რადგან საწარმოთა გაერთიანების შემდეგ ის გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულში დარჩა. მსგავს შემთხვევებში, საჭიროა, რომ გაცემული აქტივები და ვალდებულებები შეფასდეს შეძენის თარიღამდე არსებული საბალანსო ღირებულებით და არ უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში ისეთ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობა ან დანაკარგი, რომელსაც ის აკონტროლებდა საწარმოთა გაერთიანებამდეც და მის შემდეგაც.

შესაძლებელია მყიდველმა საწარმომ შეძენილ საწარმოზე გასცეს პირობითი კომპენსაცია. ანუ კომპენსაცია, რომელიც გაიცემა მყიდველი საწარმოს მიერ დამატებითი აქტივების ან სააქციო წილის სახით, თუკი მომავალში მოხდება გარკვეული მოვლენები ან შესრულდება განსაზღვრული პირობები. პირობითი კომპენსაცია მყიდველ საწარმოს უტოვებს უფლებასაც, რომ ადრე გაცემული კომპენსაციის დაბრუნება მოითხოვოს შეთანხმებული პირობების შესრულების საფუძველზე.

მყიდველმა შეძენის თარიღისთვის არსებული რეალური ღირებულებით უნდა აღიაროს პირობითი კომპენსაციის თანხა, როგორც შეძენილი საწარმოსათვის გადაცემული კომპენსაციის ნაწილი. შესაძლებელია, რომ გარკვეული პირობითი კომპენსაციის რეალურ ღირებულებაში შეფასება საწარმოთათვის დიდ სიძნელებებთან იყოს დაკავშირებული, თუმცა მისი იგნორირება ან თუნდაც აღიარების სამომავლოდ გადადება გამოიწვევს კონსოლიდირებული დინანსური ანგარიშგების არასრულად წარდგენას. აქედან გამომდინარე, საჭიროა მისი მიმდინარე პერიოდში აღიარება და შეფასება.

იმის მიხედვით, თუ მყიდველმა საწარმომ შეძენილი საწარმოს მოცულობის რა წილი შეიძინა და როგორი კონტროლის დონე აქვს მას, განასხვავებენ ურთიერთობათა სახეებს:

- ფინანსური ინსტრუმენტი - შეძენილი კაპიტალის წილი არ აღემატება 20%-ს და კონტროლის დონე არის პასიური (რეგულირდება ფასს 9-ით);

- მეკავშირე - შეძენილი კაპიტალის წილი მეტია 20%-ზე და ნაკლებია 50%-ზე, მყიდველ საწარმოს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (რეგულირდება ბასს 28, ფასს 11-ით);
- ერთობლივი საქმიანობა - შეძენილია კაპიტალის 50% და საწარმოებს აქვთ ერთობლივი კონტროლის უფლება (რეგულირდება ბასს 28-ით);
- სათავო-შვილობილი - შეძენილია კაპიტალის 50%-ზე მეტი და მყიდველი საწარმო ფლობს კონტროლის უფლებას (რეგულირდება ფასს 3, ფასს 10-ით).

საწარმოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მეორე საწარმოზე მაშინ, როდესაც ინვესტორს შეუძლია ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლება. ბასს 28-ის - „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში“ თანახმად, თუ ინვესტორი პირდაპირ ან არაპირდაპირ (შვილობილი საწარმოს მეშვეობით) ფლობს საწარმოში ხმის უფლების 20%-ზე მეტს, მაშინ ითვლება, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა მეკავშირე საწარმოზე. კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენის შეფასებისას გამოიყენება არა მხოლოდ რეალური, არამედ პოტენციური ხმის უფლების მიცემის შესაძლებლობაც, მაგრამ აუცილებელია, რომ იგი იყოს კონვერტირებადი საკუთარ კაპიტალში მიმდინარე პერიოდში. მაგალითად, შეიძლება საწარმო ფლობდეს სავალო ან წილობრივ ინსტრუმენტებს, რომლებიც კონვერტირებადია ჩვეულებრივ აქციებზე. ამგვარ შემთხვევებში პოტენციური ხმის უფლების ფლობა უნდა განიხილებოდეს, როდესაც განისაზღვრება გააჩნია თუ არა საწარმოს მნიშვნელოვანი გავლენა.

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას. ერთობლივი კონტროლი არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას. ამგვარად, ერთობლივ საქმიანობას ახასიათებს შემდეგი საერთო ნიშნები:

- ორი ან მეტი სრულუფლებიანი მონაწილე დაკავშირებულია სახელშეკრულებო შეთანხმებით;
- სახელშეკრულებო შეთანხმება აწესებს ერთობლივ კონტროლს.

ამგვარი მოთხოვნა იმის გარანტიას იძლევა, რომ საქმიანობის სრულუფლებიანი მონაწილეები ცალმხრივად ვერ გააკონტროლებენ ერთობლივ საქმიანობას.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საწარმოთა გაერთიანების სწორად აღრიცხვისათვის და ანგარიშგებებში სწორი ინფორმაციის შეტანის მიზნით, სწორად უნდა იქნას საწარმოთა გაერთიანება აღქმული და იდენტიფიცირებული, ზოგადად სწორად იქნას გაგებული საწარმოს ცნება. იმისათვის რომ სამეურნეო სუბიექტი შეფასდეს როგორც საწარმო, მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი რესურსები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ ფასს 3-ის მიხედვით: არ შეიძლება საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიცირებისთვის ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ მისი რესურსებით და პროდუქციით, ვინაიდან ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს გაერთიანების სტადიების მიხედვით; მნიშვნელოვანია შეფასდეს ის, საწარმოს რესურსებიდან გამომდინარე შეუძლია თუ არა მას ფუნქციონირება ბაზარზე საწარმოს სახელით.

საწარმოს შექმნასთან დაკავშირებული დანახარჯები ისეთი დანახარჯებია, რომელსაც მყიდველი საწარმო საწარმოთა გაერთიანების განსახორციელებლად გასწევს. ეს დანახარჯები მოიცავს იურიდიულ, საკონსულტაციო, ადმინისტრაციულ, საბუღალტრო და სხვა ხარჯებს. შექმნასთან დაკავშირებული დანახარჯები უნდა აისახოს მომსახურების გაწევისა და მიღების პერიოდის ხარჯებად, გარდა სავალო ან წილობრივი ქალაქების ემისიის დანახარჯებისა, რომლებიც უნდა აღიარდეს ბასს 32-ისა და ფასს 9-ის შესაბამისად.

საწარმოთა გაერთიანების მონაწილე მხარეებს გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებამდეს შესაძლებელია ჰქონდეთ გარკვეული შეთანხმება ან რაიმე სახის ურთიერთობა. ორივე შემთხვევაში, მყიდველმა საწარმომ უნდა განსაზღვროს ის თანხა, რომელიც საწარმოს შექმნისას არ წარმოადგენს გაცვლის ნაწილს. მყიდველმა

მხოლოდ შეძენილი საწარმოსათვის გადაცემული კომპენსაცია, შეძენილი აქტვები და აღებული ვალდებულებები უნდა აღიაროს.

მყიდველმა საწარმომ უნდა განიხილოს რამდენიმე გარემოება, რათა დადგინდეს, ესა თუ ის ოპერაცია გაცვლის ნაწილია თუ საწარმოთა გაერთიანებისაგან დამოუკიდებელ ოპერაციას წარმოადგენს. ეს გარემოებებია:

- 1) უნდა დადგინდეს სამეურნეო ოპერაციის განხორციელების მიზეზი - საჭიროა იმ მიზეზების გააზრება, თუ რისთვის დადეს გაერთიანების მონაწილეებმა ესა თუ ის გარიგება ან შეთანხმება. ამ ქმედებამ შესაძლოა გარკვეული სიცხადე შეიტანოს იმის დადგენაში, წარმოადგენს თუ არა ეს ოპერაცია საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაციისა და შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილს. იმ შემთხვევაში, თუ გარიგება, ძირითადად, დაგეგმილია მყიდველი საწარმოს, ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის სარგებლის მისაღებად და არა შეძენილი საწარმოსათვის, ან გაერთიანებამდე მისი ყოფილი მესაკუთრეებისათვის სარგებლის მოსატანად, გარიგებისთვის გადახდილი ფასის ეს ნაწილი სავარაუდოა, რომ შეძენილი საწარმოსთვის განხორციელებული გაცვლის ნაწილი იყოს. შესაბამისად, მყიდველი საწარმო ამ ნაწილს საწარმოთა გაერთიანებისგან განცალკევებულად აღრიცხავს;
- 2) საჭიროა დადგინდეს, თუ ვინ წამოიწყო ოპერაცია – იმის გააზრება, თუ ვინ წამოიწყო ოპერაცია, ასევე დაგვეხმარება გავიაზროთ, წარმოადგენს თუ არა ის შეძენილი საწარმოსთვის განხორციელებული გაცვლის ნაწილს. ოპერაცია ან სხვა მოვლენა, რომელიც ინიცირებულია მყიდველი საწარმოს მიერ, შეიძლება გამიზნული იყოს მომავალში მყიდველი საწარმოსათვის ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულისათვის ეკონომიკური სარგებლის მოსატანად და ამ ოპერაციიდან შეძენილმა საწარმომ ან მისმა ყოფილმა მესაკუთრეებმა შეიძლება მიიღონ მცირე სარგებელი თუკი, რა თქმა უნდა, საერთოდ მიიღეს იგი. მეორე მხრივ, შეძენილი საწარმოს ან მისი ყოფილი მესაკუთრეების მიერ ინიცირებული ოპერაცია ან შეთანხმება, სავარაუდოა, რომ გამიზნული იყოს მყიდველი

საწარმოსთვის ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულისათვის სარგებლის მოსატანად, ამიტომ შედარებით სარწმუნოა, რომ იგი იქნება საწარმოთა გაერთიანების ოპერაციის ნაწილი;

3) საჭიროა ოპერაციის განხორციელების დროის განსაზღვრა – ოპერაციის განხორციელების დრომ შეიძლება შექმნას იმის საფუძველი, რომ დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ეს სამეურნეო ოპერაცია შექმნილი საწარმოსთვის განხორციელებული გაცვლის ნაწილს. საწარმოთა გაერთიანების სახელშეკრულებო პირობების მოლაპარაკებების პერიოდში მყიდველ საწარმოსა და შექმნილ საწარმოს შორის გარიგება შეიძლება დაიდოს საწარმოთა გაერთიანების საკითხების განსახილველად, რომელიც ეხება მყიდველი საწარმოს ან გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. შექმნილი საწარმო ან მისი ყოფილი მესაკუთრეები, სავარაუდოა, რომ მიიღებენ რაიმე სარგებელს ამ ოპერაციიდან, თუ არ გავითვალისწინებთ იმ სარგებელს, რასაც მიიღებენ როგორც გაერთიანებული სამეურნეო ერთეულის ნაწილი.

## თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

იმისათვის, რომ ერთი საწარმოს მიერ სხვა საწარმოთა კონტროლის შემთხვევაში განისაზღვროს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მომზადების ძირითადი პრინციპები, საჭიროა:

1. მშობელმა საწარმომ წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
2. განიმარტოს კონტროლის პრინციპი, როგორც კონსოლიდაციის საფუძველი;
3. დადგინდეს აკონტროლებს თუ არა ინვესტორი ინვესტირებულ საწარმოს და უნდა მოახდინოს თუ არა ინვესტორმა მისი კონსოლიდაცია;
4. დადგინდეს ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად;

5. განიმარტოს საინვესტიციო საწარმო და გარკვეული გამონაკლისები დადგინდეს საინვესტიციო საწარმოს ცალკეული შვილობილი საწარმოების კონსოლიდაციისათვის.

საწარმოთა გაერთიანების მონაწილეები დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტები არიან, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით, ისინი შესაძლოა განცალკევებულად არ განიხილებოდნენ. გაერთიანების მონაწილეები ქმნიან საწარმოთა ჯგუფს. ჯგუფის წევრები ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული მხარეები არიან. მონაწილეთაგან ერთ-ერთი არის სათაო საწარმო, რომელსაც აქვს უფლება, აკონტროლოს ერთი ან მეტი სხვა საწარმო. გაერთიანების მონაწილე მეორე მხარე შვილობილი საწარმოა. შვილობილ საწარმოდ ითვლება საწარმო, მათ შორის არაიურიდიული პირიც, რომელსაც აკონტროლებს სხვა საწარმო.

საწარმოთა ჯგუფს რამდენიმე ფაქტი ახასიათებს:

- თუ საწარმოთა ჯგუფის ერთ-ერთ კომპანიას ეკუთვნის მეორის ჩვეულებრივი აქციების 50%-ზე მეტი, მაშინ მას აქვს შესაძლებლობა, აკონტროლოს მეორე კომპანია;
- სათაო საწარმო ფლობს საკმარის ხმის უფლებებს, რათა თვითონ დანიშნოს შვილობილის დირექტორები;
- სათაო საწარმოს შეუძლია მართოს შვილობილი საწარმო ისე, თითქოს ის მისი ქვედანაყოფია;
- იურიდიულად, საწარმოთა ჯგუფის საწარმოები გამიჯნულია ერთმანეთისაგან, თუმცა ეკონომიკური შინაარსით ისინი ერთ ერთეულად მიიჩნევიან.

საწარმოთა გაერთიანების მონაწილე მხარეები ერთმანეთში მრავალი სახით ურთიერთქმედებენ: ახორციელებენ სხვადასხვა ოპერაციებს, მანიპულირებენ შემოსავლებითა და ხარჯებით. ამგვარი ქმედებები განაპირობებს ცალკეული მხარეების რეალური მაჩვენებლების, შედეგების დონისა და დინამიკის დამახინჯებას. ცალკეული მხარეების ფინანსური ანგარიშგება ვერ მოგვცემს შესაძლებლობას, აღმოვაჩინოთ ასეთი

ფაქტები, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი ოპერაციები არ ცვლის საბოლოოდ მთლიანი ჯგუფის ფინანსურ შედეგს და მდგომარეობას, ობიექტური ინფორმაციის მისაღებად შეგვიძლია გამოვიყენოთ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. აღნიშნულ ფინანსურ ნაგარიშგებაში საწარმოთა გაერთიანების მხარეები წარმოდგენილია, როგორც ერთი სამეურნეო ერთეული, ანგარიშგება კი ცნობილია, როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

ზოგადი თვალსაზრისით, ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და განხორციელებული ოპერაციების სტრუქტურულ სურათს. ის საწარმოს მთლიანი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლის მიზანი მომხმარებელთა ფართო წრისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისთვის წინაპირობის შექმნაა. რაც შეეხება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ის საწარმოთა ჯგუფის ისეთი ანგარიშგებაა, რომელშიც საწარმოთა ჯგუფის მხარეები წარმოდგენილია ერთ ეკონომიკურ სუბიექტად და მათი აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, ხარჯები, შემოსავლები და ფულადი ნაკადები ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივებად, ვალდებულებებად, საკუთარ კაპიტალად, ხარჯებად, შემოსავლებად და ფულად ნაკადებად წარმოგვიდგება.

კონსოლიდირებული ანგარიშგება მთლიანი ჯგუფის მდგომარეობის ობიექტურ სურათს გვთავაზობს. ამის უპირველესი მიზანი შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების ელიმინირებაა. შიდაჯგუფურ ოპერაციებში იგულისხმება ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება ჯგუფში შემავალ საწარმოებს შორის. მსგავსი ოპერაციები უნდა გამოირიცხოს კონსოლიდაციისას, რათა ჯგუფის მდგომარეობა ისე წარმოჩინდეს, თითქოს ის ერთი სამეურნეო ერთეულია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ერთი სამეურნეო ერთეულის კონცეფციას ემყარება. ამ კონცეფციის მიხედვით, საწარმოთა გაერთიანების შედეგად ჯგუფის წევრების საქმიანობის შედეგები ისე წარმოჩინდება, თითქოს ერთი სამეურნეო ერთეული იყოს, რაც ეწინააღმდეგება საწარმოთა იურიდიულ მდგომარეობას, რადგან

თითოეული საწარმო ცალკე იურიდიულ ერთეულს წარმოადგენს. სწორედ აქ ვლინდება იურიდიულ ფორმაზე აღმატებულობა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფაქტობრივად წარმოადგენს შვილობილ საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების გაგრძელებას (არ იგულისხმება მისი კაპიტალის სტრუქტურა), რომელშიც აისახება:

1. გაერთიანების საბალანსო ღირებულებაში შეფასებული და აღიარებული იურიდიული შვილობილი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები;
2. იურიდიული სათაო საწარმოს აქტივები და ვალდებულებები;
3. საწარმოს გაერთიანებამდე შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება და სკუთარი კაპიტალის სხვა ნაშთები;
4. იურიდიული შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ნაშთების გაერთიანებამდე საბალანსო ღირებულებაში არამაკონტროლებელი წილის პროპორციულ წილი;
5. გამოშვებულ სააქციო კაპიტალად აღიარებული თანხა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც წარმოადგენილია შვილობილი საწარმოს გამოშვებული სააქციო წილის შეკრებით სათაო საწარმოს რეალურ ღირებულებასთან.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს სათაო საწარმოს და ყველა შვილობილს. მისი წარდგენა ევალება სათაო საწარმოს ყველა შემთხვევაში, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა.

მშობელი საწარმო ვალდებული არ არის, წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ ის აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:

- მშობელი საწარმო თვითონ წარმოადგენს სხვა საწარმოს სრულ ან ნაწილობრივ საკუთრებაში მყოფ შვილობილ საწარმოს და მისი ყველა სხვა მესაკუთრე, მათ შორის ისინიც, რომლებიც არ არიან აღჭურვილნი ხმის უფლებით,

ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მშობელი საწარმო არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამის წინააღმდეგ არ წასულან;

- მშობელი საწარმოს სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე (ადგილობრივი ან უცხოური საფონდო ბირჟა, ან არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების (მეორადი ბაზარი), როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონული);
- მშობელი საწარმო თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის;
- მისი საბოლოო მშობელი საწარმო, ან რომელიმე შუალედური მშობელი საწარმო ადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც შვილობილი საწარმოები ან კონსოლიდირებულია, ან შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.<sup>4</sup>

## 2.1. კონტროლი, როგორც კონსოლიდაციის საფუძველი

კონტროლის უფლება სათაო საწარმოს აძლევს შესაძლებლობას, რომ მართოს შვილობილის სამეურნეო საქმიანობა ისე, თითქოს ის სათაო საწარმოს ერთ-ერთ განყოფილებას წარმოადგენდეს.

კონტროლი ნიშნავს საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, ამ საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. სათაო საწარმოდ იდენტიფიცირებისათვის ინვესტორმა უნდა დაადგინოს აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტირებულ საწარმოში ცვალებადი

---

<sup>4</sup> ფასს 10 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“

შემოსავლების მიღების რისკები დაკავშირებული ინვესტორთან, ან ინვესტორს აქვს ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღებისა და მასზე ზემოქმედების შესაძლებლობა, მაშინ ითვლება, რომ ინვესტორი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს. აქედან გამომდინარე, კონტროლის არსებობისთვის ინვესტორმა უნდა შეაფასოს, რამდენად სრულდება შემდეგი სამი ფაქტორი:

1. ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოში;
2. ინვესტორი ექვემდებარება რისკებს ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით ან გააჩნია ცვალებადი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ინვესტირებული საწარმოდან;
3. გააჩნია შესაძლებლობა, უფლებამოსილების გამოყენებით შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოსახდენად.

თუ არსებობს გარკვეული გარემოებები, რომელთა მიხედვით მოსალოდნელია ამ სამი ფაქტორიდან რომელიმე ერთი მათგანის რელევანტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, ინვესტორმა ახლიდან უნდა შეაფასოს აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს.

ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის არსებობის შეფასების დროს, ინვესტორმა უნდა განიხილოს ინვესტირებული საწარმოს მიზანი და სტრუქტურა იმისათვის, რომ დაადგინოს რელევანტური საქმიანობები; ასევე ის, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება რელევანტური საქმიანობების შესახებ; ვის გააჩნია რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა მიმდინარე ეტაპზე და ვინ იღებს შემოსავალს ამ საქმიანობებიდან.

რელევანტური საქმიანობების მაგალითებია: საქონლის, ან მომსახურების გაყიდვა და ყიდვა; ფინანსური აქტივების მართვა მათი ვადის განმავლობაში; აქტივების შერჩევა, შექმნა, ან გასხვისება; ხალი პროდუქტების, ან პროცესების სამეცნიერო კვლევა და დამუშავება; დაფინანსების სტრუქტურის განსაზღვრა, ან დაფინანსების მოპოვება და სხვა.

კონტროლის არსებობის ერთ-ერთი ფაქტორი, როგორც უკვე ვთქვით, არის უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოში, როდესაც აქვს მოქმედი უფლებები. ამასთან, ეს უფლებები ინვესტორს მიმდინარე მომენტში მნიშვნელოვანი გავლენის მქონე რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს.

მაშინაც კი, თუ ჯერ არ მომხდარა ინვესტორისთვის მინიჭებული მართვის უფლებების რეალიზება ითვლება, რომ მას გააჩნია უფლებამოსილება, თუკი ფლობს მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას.

უფლებამოსილება უფლებებიდან წარმოიშვება. გარკვეულ შემთხვევებში, მარტივია უფლებამოსილების დადგენა. ამის მაგალითია, როდესაც უფლებამოსილების მოპოვება ინვესტირებულ საწარმოში პირდაპირ ხდება წილობრივი ინსტრუმენტებით მინიჭებული ხმის უფლებებით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება ხდება საჭირო უფლებამოსილების დასადგენად და უფლებამოსილება წარმოიშობა ერთი ან რამდენიმე სახელშეკრულებო შეთანხმებიდან, უფლებამოსილების დადგენა გაცილებით რთულდება.

როდესაც ინვესტორი აფასებს, აქვს თუ არა მას უფლებამოსილება, ის იხილავს მხოლოდ რეალურ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოსთან. უფლება მიიჩნევა რეალურად, თუ მის მფლობელს გააჩნია ამ უფლების გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობა. იმის დასადგენას, უფლებები რეალურია თუ არა, საჭიროა ყველა ფაქტის განსჯა და გარემოებების გათვალისწინება. განსასჯელი ფაქტორი სხვადასხვა შეიძლება იყოს, მაგალითად უნდა განისაზღვროს არსებობს თუ არა რაიმე სახის ბარიერი, რომლებიც მფლობელს ან მფლობელებს ხელს უშლის უფლებების განხორციელებაში (ფინანსური ჯარიმები, საოპერაციო ბარიერები, საკანონმდებლო ან მარეგულირებელი მოთხოვნები და სხვა).

ინვესტორს, რომელიც ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტის მფლობელია, გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, თუ:

- რელევანტური საქმიანობების მართვა ხორციელდება ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელის ხმის მიცემით;
- მმართველი ორგანოს წევრების უმეტესობა, რომელიც მართავს რელევანტურ საქმიანობებს, ინიშნება ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელის ხმის მიცემით.

თუკი ინვესტორი არ არის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების საკონტროლო პაკეტის მფლობელი, მაშინ შეიძლება ითქვას რომ მას გააჩნია ინვესტირებულ საწარმოზე უფლებამოსულება, როდესაც ის მოიპოვებს რელევანტური საქმიანობების ცალმხრივად მართვის პრაქტიკულ შესაძლებლობას. როდესაც ინვესტორი აფასებს, რამდენად საკმარისია მისი ხმის უფლებები იმისათვის, რომ უფლებამოსილება მიენიჭოს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, ის სხვადასხვა ფაქტორს განიხილავს, მაგალითად, მისი კუთვნილი ხმის უფლებების პაკეტის სიდიდე ხმის უფლების მქონე სხვა მფლობელების ხმის უფლებების პაკეტების სიდიდესთან მიმართებით და ასევე ხმის უფლებების განაწილების ხარისხთან მიმართებით. ითვლება, რომ რაც უფრო მეტი ხმის უფლებების მფლობელია ინვესტორი, მით მეტად არის შესაძლებელი, გააჩნდეს მას ძალაში შესული უფლებები, რომლების მიმდინარე ეტაპზე რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობას მისცემს. ამასთან, რაც მეტია ისეთ მხარეთა რაოდენობა, რომლებმაც ერთად უნდა იმოქმედონ ხმის მიცემის პროცესში ინვესტორის დასამარცხებლად, მით უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ ინვესტორს გააჩნია ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას ანიჭებს.

განვიხილოთ მაგალითი. ინვესტორი იძენს ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 48%-ს. დანარჩენი ხმის უფლებები ეკუთვნის ათასობით აქციონერს, მაგრამ ცალ-ცალკე არც ერთ მათგანს არ გააჩნია ხმის უფლებების 1%-ზე მეტი. არც ერთ აქციონერს არა აქვს დადებული შეთანხმება არც ერთ სხვა აქციონერთან კონსულტაციების, ან კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შესახებ. როდესაც ინვესტორი აფასებდა, შესაძენი ხმის უფლებების მქონე აქციების ხვედრით წილს აქციების

სხვა პაკეტების სიდიდის საფუძველზე, ინვესტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 48% წილის შეძენა საკმარისი იქნებოდა კონტროლის მოსაპოვებლად. ასეთ შემთხვევაში, მისი პაკეტის აბსოლუტური ზომისა და აქციების სხვა პაკეტების ფარდობითი ზომის საფუძველზე, ინვესტორი დაასკვნის, რომ მას საკმარისი დომინანტური წილი გააჩნია, რათა დააკმაყოფილოს უფლებამოსილების კრიტერიუმი ისე, რომ აუცილებელი არ იქნება უფლებამოსილების არსებობის სხვა მტკიცებულებების განხილვა.<sup>5</sup>

ინვესტორს არ გააჩნია უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ ის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელია, მაგრამ მისი ხმის უფლებები რეალური არ არის. მაგალითად, ინვესტორს, რომელიც ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტის მფლობელია, არ ექნება უფლებამოსილება, თუ რელევანტური საქმიანობების მართვას ახორციელებს მთავრობა, სასამართლო, სასამართლოს მიერ დანიშნული ქონების მმართველი, ლიკვიდატორი, ან მარეგულირებელი ორგანო.

შესაძლებელია, მიმდინარე მომენტში, ერთზე მეტ ინვესტორს ჰქონდეს ძალაში შესული უფლებები და ეს უფლებები მათ მნიშვნელოვან საქმიანობებზე მართვის უფლებას აძლევდეს, თუმცა ითვლება, რომ ინვესტირებულ საწარმოში უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ იმ ინვესტორს, რომელიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს საწარმოს შემოსავლებზე.

ინვესტორი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება მხოლოდ მაშინ, თუკი მისი მონაწილეობით წარმოშობილი შემოსავლები შეიძლება შეიცვალოს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით.

ინვესტორი მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია არა მარტო უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით და

---

<sup>5</sup> ფასს 10 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“

ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, არამედ იმავდროულად აქვს იმის უნარი, თავისი უფლებამოსილება გამოიყენოს ინვესტირებულ საწარმოში მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

არის შემთხვევები, როდესაც ორი ან მეტი ინვესტორი კოლექტიურად აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს. ეს მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მათ ერთად უნდა იმოქმედონ რელევანტური საქმიანობის მართვის განსახორციელებლად. იქიდან გამომდინარე, რომ არც ერთ ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად, სხვა თანამშრომლების გარეშე წარმართოს საქმიანობა, გამოდის, რომ არც ერთი ინვესტორი არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს და თითოეულმა ინვესტორმა თავისი მონაწილეობის წილი უნდა აღრიცხოს შესაბამისი სტანდარტების მიხედვით (ფასს 11 – „ერთობლივი საქმიანობა“, ბასს 28 – „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ ან ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“).

ბასს 27-ის მიხედვით, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაერთიანებული უნდა იყოს ყველა შვილობილი საწარმო, გარდა ორი გამონაკლისისა:

1. ეფექტური კონტროლის უქონლობა;
2. შვილობილი საწარმოს ფლობა ხელახლა გაყიდვის მიზნით.

თუ არ არსებობს ეფექტური კონტროლი, მაშინ საწარმო ითიშება კონსოლიდაციიდან და უნდა აისახოს როგორც ინვესტიცია.

შესაძლებელია, სათაო საწარმომ შეიძინა ერთი ან ერთზე მეტი შვილობილი საწარმოსაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მის სტრატეგიულ გეგმებში არ შედიოდა და მოსალოდნელი იყო, რომ გაიყიდებოდა. ასეთ შემთხვევაში, თუკი საწარმო აკმაყოფილებს „გასაყიდად გამიზნული“ საწარმოს კრიტერიუმებს, ის მაინც უნდა ჩაირთოს კონსოლიდაციაში, თუმცა სათავო საწარმოს წილი იქნება ცალკე წარდგენილი, როგორც

ერთი ციფრი, იმის ნაცვლად, რომ მისი კონსოლიდაცია მოხდეს სხვა შვილობილი საწარმოების მსგავსად.

ვთქვათ კომპანია „ჰობართ“ ჯგუფს ეკუთვნის „სტორის“ ხმისუფლებიანი ჩვეულებრივი აქციების 90 % და განხილულია შემდეგი მოსაზრებები:

1. „სტორი“ არის უცხოური შვილობილი საწარმო.
2. „სტორი“ ბიზნესი ძალიან განსხვავებულია „ჰობართის“ ბიზნესისგან.
3. „სტორი“ შექმნილი იყო სხვა შვილობილ საწარმოსთან ერთად და განზრახულია მისი გაყიდვა

განხილული მაგალითის ამოხსნის გზა შეიძლება შემდგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. მართო ეს ერთი მოსაზრება ხელს არ უშლის იმას, რომ „სტორი“ კონსოლიდირებული იყოს როგორც შვილობილი საწარმო, თუ ისეთი გარემოებები არ წამრმოიშობა, რომ „ჰობართი“ კონტროლს დაკარგავს ამ შვილობილ საწარმოზე.
2. ეს მოსაზრება გავლენას არ ახდენს შვილობილი საწარმოს კონსოლიდაციაზე, ვინაიდან სამიანობაში (ბიზნესში) არსებული ნებისმიერი განსხვავებები განიმარტება სეგმენტის ინფორმაციაში.
3. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადრე „სტორი“ არ ყოფილა კონსოლიდირებული, ამ შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია არ მოხერხდება მუხლობრივად. ნაცვლად ამისა, აისახება, როგორც მიმდინარე საინვესტიციო აქტივი.

მშობელმა საწარმომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ანალოგიური ოპერაციებისა და ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი მოვლენების მიმართ ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით უნდა მოამზადოს.

ინვესტირებული საწარმოს კონსოლიდაცია საჭიროა დაიწყოს იმ თარიღიდან, როდესაც ინვესტორი მოიპოვებს კონტროლს ინვესტირებულ საწარმოზე და უნდა შეწყდეს მაშინ, როდესაც ინვესტორი ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლს დაკარგავს.

კონსოლიდაციისათვის საწარმოთა ჯგუფში შემავალ საწარმოებს უფლება აქვთ, ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ ისეთი თარიღისათვის, რომ სათაო საწარმოს საანგარიშგებო თარიღსა და შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის ინტერვალი არ აღემატებოდეს სამ თვეს, მაგრამ ევალებათ ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება, ამ თარიღებს შორის შესრულებული მნიშვნელოვანი სამეურნეო ოპერაციების ან სხვა მოვლენების გასათვალისწინებლად. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ჯგუფის ყველა წევრს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს, თუ ეს ასე არ იქნება, მათი ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდაციამდე უნდა შესწორდეს თავსებადობის მიზნით. გარდა ამისა, შიდა ჯგუფური სამეურნეო ოპერაციები უნდა გამოირიცხოს კონსოლიდაციისას, რათა მიღწეულ იქნეს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების უმთავრესი მიზანი, ე.ი წარმოაჩინოს ჯგუფის მდგომარეობა ისე, თითქოს ერთი სამეურნეო ერთეული ყოფილიყოს.

კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებია:

- საწარმოთა ჯგუფის საწარმოების შესახებ ფინანსური ინფორმაციის ისეთი სახით წარმოჩენა, თითქოს ისინი ერთი სამეურნეო ერთეულია;
- წარმოაჩინოს ჯგუფის მიერ კონტროლირებული ეკონომიკური რესურსები;
- აჩვენოს ჯგუფის ვალდებულებები;
- ასახოს ჯგუფის საქმიანობის შედეგები მის რესურსებთან ერთად.

მშობელმა საწარმომ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არამაკონტროლებელი წილი უნდა წარადგინოს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა კაპიტალისგან განცალკევებით.

შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს საკუთრების წილის დონეში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვას, აისახება როგორც საკუთარ კაპიტალზე შესრულებული ოპერაციები (ანუ შვილობილი საწარმოს მესაკუთრებთან, როგორც აქციების მფლობელებთან შესრულებული ოპერაციები).

ისეთ შემთხვევაში, თუ მშობელი საწარმოზე შვილობილზე კონტროლს დაკარგავს:

- მშობელმა საწარმომ უნდა შეწყვიტოს უკვე ყოფილი შვილობილი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
- მშობელმა საწარმომ უნდა აღრიაროს კონტროლის დაკარგვის თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით შვილობილ საწარმოში დარჩენილი ინვესტიცია და შემდეგში ამ ინვესტიციას და ასევე ყოფილი შვილობილი საწარმოდან მისაღებ, ან მისთვის გადასახდელი ნებისმიერი დავალიანების თანხა უნდა ასახოს სხვა შესაფერისი სტანდარტების შესაბამისად;
- მშობელმა საწარმომ უნდა აღიაროს კონტროლის დაკარგვასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც ყოფილ მაკონტროლებელ წილზეა მოსაკუთრებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოხატავს მთლიანი ჯგუფის მდგომარეობასა და მისი საქმიანობის შედეგებს, სადაც მოცემულია:

- სათაო და შვილობილი საწარმოების ყველა აქტივი და ვალდებულება, რომლებიც აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
- სათაო და შვილობილი საწარმოების ყველანაირი შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც აისახება კონსოლიდირებულ მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში;
- სათავო და შვილობილი საწარმოების ყველანაირი „სხვა სრული შემოსავალი“, რომელიც აისახება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

შესაძლოა, შვილობილ კომპანიებს გააჩნდეთ არადამაკმაყოფილებელი შედეგები ფინანსური მდგომარეობის კუთხით. ეს შესაძლოა სამ ფაქტორში გამოვლინდეს:

1. შვილობილი საწარმოს ლიკვიდობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
2. არსებითი საოპერაციო ზარალი;
3. მნიშვნელოვანი სიდიდის დავალიანება.

მსგავსი შედეგების მქონე შვილობილი საწარმოს კონსოლიდაციაში გათვალისწინებამ შესაძლოა გააუარესოს მთლიანი ჯგუფის საბოლოო მდგომარეობა. ამის გამო, სათაო საწარმომ შეიძლება არ მოისურვოს არადამაკმაყოფილებელი შედეგების მქონე შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია, თუმცა ფასს-ების მიხედვით, მსგავსი მიზეზით კონსოლიდაციიდან გამოთიშვა არ შეიძლება.

საწარმოთა ჯგუფში გაერთიანებული საწარმოები შესაძლებელია სხვადასხვა, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, რის გამოც სათაო საწარმო განსხვავებული საქმიანობის საწარმოების გამოთიშვას ცდილობდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან. მათი მტკიცებით, მნიშვნელოვნად განსხვავებული საქმიანობის სფეროების აქტივებისა და ვალდებულებების გაერთიანება დამახინჯებულ სურათს შექმნის, თუმცა ბასს 27-ის მიხედვით არც მსგავსი მიზეზით არის შესაძლებელი საწარმოთა გამოთიშვა კონსოლიდაციიდან.

მშობელმა საწარმომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ის საინვესტიციო საწარმო. საინვესტიციო ისეთი საწარმოა, რომელიც:

- ა) ფულად სახსრებს მოიპოვებს ერთი ან მეტი ინვესტორისგან, რათა ამ ინვესტორ(ებ)ს გაუწიოს ინვესტიციების მართვის მომსახურება;
- ბ) თავისი ინვესტორ(ებ)ის წინაშე იღებს ვალდებულებას, რომ მისი საქმიანობის მიზანია, სახსრები დააბანდოს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ შემოსავალი მიიღოს კაპიტალის ღირებულების ზრდის შედეგად, საინვესტიციო შემოსავლის სახით, ან ორივე გზით; და

გ) ფაქტობრივად ყველა თავისი ინვესტიციის შედეგებს ზომავს და აფასებს რეალური ღირებულების საფუძველზე.<sup>6</sup>

თუ საინვესტიციო საწარმოს განმარტებების შემადგენელი პუნქტებიდან შეიცვალა ერთი არ მეტი, მშობელმა საწარმომ ხელახლა უნდა შეაფასოს რამდენად არის ის საინვესტიციო საწარმო.

იმისათვის, რომ დადგინდეს, რამდენად აკმაყოფილებს საწარმო მოცემულ კრიტერიუმებს წარმოადგენს საინვესტიციო საწარმოს, უნდა იქნეს განხილული ქვემოთ ჩემოთვლილ ნიშნებთან შესაბამისობა:

- საწარმოს გააჩნია ერთზე მეტი ინვესტიცია;
- საწარმოს ჰყავს ერთზე მეტი ინვესტორი;
- საწარმოს ჰყავს ისეთი ინვესტორები, რომლებიც არ არიან საწარმოსათვის დაკავშირებული მხარეები;
- საწარმოს გააჩნია წილი საკუთარი კაპიტალის ფორმით ან ანალოგიური წილები.

თუ საწარმო არ აკმაყოფილებს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ პირობას, ეს ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ის აღარ იდენტიფიცირდება საინვესტიციო საწარმოდ. თუ საინვესტიციო საწარმოს არ გააჩნია ყველა ტიპური ნიშანი, მაშინ ის განმარტებით შენიშვნებში წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას.

იმ მშობელმა საწარმომ, რომელიც აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო საწარმოდ აღრიარების კრიტერიუმებს ან პირიქით, მშობელი საწარმო ხდება საინვესტიციო საწარმო, სტატუსის შეცვლა უნდა ასახოს პერსპექტიულად იმ თარიღიდან მოყოლებული, როდესაც მისი სტატუსი შეიცვალა.

საინვესტიციო საწარმომ არ უნდა მოახდინოს შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია და სხვა საწარმოებზე კონტროლის მოპოვების შემდეგ არც ფასს 3 უნდა გამოიყენოს. ნაცვლად ამისა, საინვესტიციო საწარმომ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიცია უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ფასს 9-ის შესაბამისად.

---

<sup>6</sup> ფასს 10 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“

ისეთ შემთხვევაში, როდესაც საინვესტიციო საწარმოს გააჩნია შვილობილი საწარმო, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო საწარმო და მისი ძირითადი მიზანი და საქმიანობა ისეთი მომსახურების გაწევაა, რომელიც დაკავშირებულია მოცემული საინვესტიციო საწარმოს საინვესტიციო საქმიანობასთან, მან უნდა მოახდინოს ამ შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია და ფასს 3-ის მოთხოვნები გამოიყენოს ნებისმიერი ამგვარი შვილობილი საწარმოს შეძენის დროს. ამასთან, საინვესტიციო საწარმოს მშობელმა საწარმომ უნდა მოახდინოს კონსოლიდაცია ყველა იმ საწარმოების, რომლებსაც ის აკონტროლებს. მათ შორის ისეთებისაც, რომლებზე კონტროლიც ხორციელდება საინვესტიციო საწარმოს შვილობილი საწარმოს მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თვითონ მშობელი საწარმოა საინვესტიციო საწარმო.

## 2.2. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ დაჯგუფებას უწოდებენ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს. ესენია: აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები. მათგან პირველი სამი ელემენტი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების საშუალებას იძლევა და აისახება ბუღალტრულ ბალანსში, ანუ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება სწორედ ბუღალტრული ბალანსისა და მისი ელემენტების საფუძველზე ხდება.

საწარმოთა ჯგუფის შემთხვევაში, საჭიროა შედგეს მათი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. იგი აერთიანებს საწარმოთა ჯგუფის საწარმოების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას და გვიჩვენებს სათაო და შვილობილი საწარმოების ყველა აქტივსა და ვალდებულებას.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გვიჩვენებს:

- საწარმოთა ჯგუფის წმინდა აქტივებს;
- ჯგუფის იმ სააქციო კაპიტალს, რომელიც მხოლოდ სათაო საწარმოს სააქციო კაპიტალს უდრის;
- გაუნაწილებელ მოგებას, რომელიც წარმოადგენს ჯამს სათაო საწარმოს წარსული პერიოდის მოგებისა და შვილობილი საწარმოს შეძენის შემდგომ მიღებული მოგებისა.

მნიშვნელოვანია, რომ საწარმოთა ჯგუფის ყველა საწარმოს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა ჰქონდეს. თუ ჯგუფის წევრები განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებენ, მათი ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდაციამდე უნდა შესწორდეს და გახდეს თავსებადი. ფასს 10-ის მიხედვით, საწარმოთა ჯგუფში შემავალმა საწარმოებმა ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადონ ისეთი თრილისთვის, რომ სათავო საწარმოს საანგარიშგებო თარიღს შორის ინტერვალი არ აღემატებოდეს სამ თვეს, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებების არსებობის შემთხვევაში, ამ თარიღებს შორის მომხდარი ცვლილებებით უნდა დაკორექტირდეს არსებული ანგარიშგება.

განასხვავებენ კონსოლიდაციის სამ მეთოდს: სრული კონსოლიდაცია, პროპორციული კონსოლიდაცია და კაპიტალ-მეთოდი. საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისთვის გამოიყენება სრული კონსოლიდაციის მეთოდი, რომლის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ გაერთიანების შედეგად საწარმოთა ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთლიან ეკონომიკურ ერთეულს.

სრული კონსოლიდაციის მეთოდის გამოყენებისას აგრეგირებას ექვემდებარება შვილობილი საწარმოს ყველა აქტივი და ვალდებულება და როგორც უკვე ვახსენეთ, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ერთიანდება შვილობილ საწარმოთა ინდივიდუალურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაცია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ დროს ხდება ანალოგიური მუხლების პირდაპირი დაჯამება. ეს პროცესი მოიცავს მთელ რიგ პროცესებსა და გაანგარშებებს. უპირველეს ყოვლისა, კონსოლიდაციიდან უნდა გამოირიცხოს შიდაჯგუფური ოპერაციები და ანგარიშგებაში ნაჩვენები მოთხოვნები და

ვალდებულებები უნდა მოიცავდეს მხოლოდ და მხოლოდ მესამე მხარის დებიტორულ/კრედიტორულ დავალიანებებს. ამასთანავე, ელიმინირებას უნდა დაექვემდებაროს შვილობილ საწარმოებში სათაო საწარმოს მიერ ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანაგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხები განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითის საშუალებით.

A საწარმომ (სათაო) შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 80%. ცხრილ 1.1-ში მოცემულია ანაგარიშგება, რომელიც ასახავს ორივე საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას ცალ-ცალკე.

ცხრილი 1.1

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო
<b>აქტივები</b>		
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
ძირითადი საშუალებები	120,000	90,000
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში (64,000 აქცია)	70,000	0
შემენილი გუდვილი		
გადავადებული საგადასახადო აქტივები	4,000	
	<b>194,000</b>	<b>90,000</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	55,000	34,000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		
• შვილობილი საწარმო	8,000	
• სხვა დებიტორული დავალიანებები	30,000	18,000
ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები	20,000	5,000
	<b>113,000</b>	<b>57,000</b>
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>307,000</b>	<b>147,000</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>		
<b>კაპიტალი</b>		
სააქციო კაპიტალი		
• 200,000 აქცია	200,000	
• 80,000 აქცია		80,000
გაუნაწილებელი მოგება	62,000	45,000
არამაკონტროლებელი წილი		
	<b>262,000</b>	<b>125,000</b>

<b>ვალდებულებები</b>		
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		2,000
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>		
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		
• სათაო საწარმო		8,000
• სხვა კრედიტორული დავალიანებები	35,000	12,000
12 თვეში გადასახდელი სესხები	10,000	
	<b>45,000</b>	<b>22,000</b>
<b>მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>307,000</b>	<b>147,000</b>

სათაო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა კონსოლიდაციის პროცედურის სამი საფეხურის განხილვა:

1. გაერთიანება - უნდა გაერთიანდეს სათაო საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის შესაბამისი მუხლები;
2. ელიმინირება - სათაო საწარმოს ბალანსში ასახული „შვილობილ საწარმოში დაბანდებული ინვესტიციების“ მუხლის ელიმინირება შვილობილი საწარმოს შესამაბისი წმინდა აქტივებით;
3. შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირება.

მას შემდეგ, რაც აქტივები და ვალდებულებები შეფასდება სამართლიანად და კონსოლიდაციის ყველა წინაპირობა დაკმაყოფილდება, უკვე შესაძლებელი იქნება ბალანსის შესაბამისი მუხლების გაერთიანება. მუხლების გაერთიანება მარტივად, უბრალო დაჯამებით არის შესაძლებელი იმ შემთხვევაში, თუკი საწარმოები ერთნაირ ფინანსურ ფორმებს იყენებენ. მოცემულ მაგალითში, ბალანსის მუხლების გაერთიანების შედეგი ნაჩვენებია ცხრილში 1.2:

ცხრილი 1.2

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო	პირველი ნაბიჯი (გაერთიანება)
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	120,000	90,000	210,000

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში (64,000 აქცია)	70,000	0	70,000
შემენილი გუდვილი			
გადავადებული საგადასახადო აქტივები	4,000		4,000
	<b>194,000</b>	<b>90,000</b>	<b>284,000</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	55,000	34,000	89,000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან			
• შვილობილი საწარმო	8,000		8,000
• სხვა დებიტორული დავალიანებები	30,000	18,000	48,000
ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები	20,000	5,000	25,000
	<b>113,000</b>	<b>57,000</b>	<b>170,000</b>
<b>მოლიანი აქტივები</b>	<b>307,000</b>	<b>147,000</b>	<b>454,000</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი			
• 200,000 აქცია	200,000		200,000
• 80,000 აქცია		80,000	80,000
გაუნაწილებელი მოგება	62,000	45,000	107,000
არამაკონტროლებელი წილი			
	<b>262,000</b>	<b>125,000</b>	<b>387,000</b>
<b>ვალდებულებები</b>			
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		2,000	2,000
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან			
• სათაო საწარმო		8,000	8,000
• სხვა კრედიტორული დავალიანებები	35,000	12,000	47,000
12 თვეში გადასახდელი სესხები	10,000		10,000
	<b>45,000</b>	<b>22,000</b>	<b>67,000</b>
<b>მოლიანი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>307,000</b>	<b>147,000</b>	<b>454,000</b>

ამის შემდეგ, საჭიროა მოხდეს სათაო საწარმოს ბალანსში ასახული „შვილობილ საწარმოში დაბანდებული ინვესტიციების“ მუხლის ელიმინირება შვილობილი საწარმოს შესამაბისი წმინდა აქტივებით და ასევე გუდვილისა და არამაკონტროლებელი წილის გაანგარიშება.

ინვესტიციის მუხლის ელიმინირებისათვის, შვილობილ საწარმოში ინვესტიცია (70,000) და ასევე შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი (80,000) მთლიანად უნდა ამოითიშება ანგარიშგებიდან.

თუკი შვილობილი საწარმო შექმნამდე ფლობს გაუნაწილებელ მოგებასა და რეზერვებს, ითვლება, რომ მას გააჩნია „შექმნამდელი მოგება“ და „შექმნამდელი რეზერვები“. გუდვილის გამოთვლისას ხდება მათი კაპიტალიზება და მათი სიდიდე იღებს მონაწილეობას გუდვილის გაანგარშებაში.

შექმნის შემდგომ პერიოდში, სათაო და შვილობილი საწარმოების მიერ ერთად შექმნილ მოგებას „შექმნის შემდგომი მოგება“, ხოლო რეზერვებს - „შექმნის შემდგომი რეზერვები“ ეწოდება. „შექმნის შემდგომი მოგება“ და „შექმნის შემდგომი რეზერვები“ მისი წილის პროპორციულად მიეკუთვნება ჯგუფს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ორი გარემოება:

1. შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან ჯგუფს ეკუთვნის მხოლოდ მოგების ის ნაწილი, რომელიც შექმნის შემდგომია მიღებული;
2. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება შედგება სათაო საწარმოს გაუნაწილებელი მოგებისა და შვილობილი საწარმოს შექმნის შემდგომი მოგების ჯამისაგან, რომელიც შემცირებულია გუდვილის გაუფასურების ზარალით.

როგორც გაუნაწილებელი მოგების შემთხვევაში, ამჯერადაც ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ და მხოლოდ ჯგუფის წილი საწარმოს შექმნის შემდგომ რეზერვებსა და მოგებაში

მოცემული მაგალითის მიხედვით, როგორც დასაწყისშიც იყო ნათქვამი, A საწარმომ (სათაო) შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 80%, რაც ნიშნავს, რომ არამაკონტროლებელი წილი არის B საწარმოს კაპიტალის 20%. მამასადამე, შვილობილი საწარმოს

გაუნაწილებელი მოგების 20% ასევე უნდა ამოითიშოს ანგარიშგებიდან. ეს თანხა შემდეგნაირად გაიანგარიშება:  $45,000 \times 20\% = 9000$ .

აქ სიფრთხილესა საჭირო, რადგან უნდა დადგინდეს რომ შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება ნამდვილად გაერთიანების შემდეგაა მიღებული. ამოცანის მიზნებისთვის ჩათვლილია, რომ ეს მართლაც ასეა და შეძენამდე გაუნაწილებელი მოგება სათაო საწარმოს არ გააჩნდა.

გასათვალისწინებელია, რომ როდესაც ხდება საწარმოს 100%-ის შეძენა, გუდვილი შემდეგნაირად გამოითვლება:

ინვესტიციის თვითღირებულება - შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები = გუდვილი.

თუ სათაო საწარმო იძენს შვილობილის 100%-ზე ნაკლებს, ასეთ შემთხვევაში, შვილობილი საწარმოს ღირებულება არის ორი ელემენტის ჯამი:

1. სათაო საწარმოს მიერ შეძენილი წილის ღირებულება;
2. იმ წილის ღირებულება, რომელიც არ შეუძენია საწარმოს და რომელსაც არამაკონტროლებელ წილი ეწოდება.

ნაწილობრივი გუდვილის გაანგარიშებისათვის საკმარისია ინვესტიციების თვითღირებულებას გამოკლებულ იქნას სათაო საწარმოს წილი შვილობილის წმინდა აქტივებში. ამგვარად გამოითვლება სათაო საწარმოს გუდვილი.

სრული გუდვილის დასაანგარშებლად კი სათაო საწარმოს გუდვილს უნდა დაემატოს არამაკონტროლებელი წილის გუდვილი, რომელიც გამოთვლება, როგორც შეძენის თარიღისათვის არამაკონტროლებელი წილის ღირებულებისა და შეძენის თარიღისათვის წმინდა აქტივებში არამაკონტროლებელი წილის კუთვნილი ნაწილის სხვაობა.

საწარმოთა გაერთიანებისას ხშირად არის სიტუაცია, როდესაც სათაო საწარმოს არ ეკუთვნის შვილობილი საწარმოს ყველა აქცია. აქედან გამომდინარე, თავს იჩენს არამაკონტროლებელი წილის არსებობა, თუმცა არამაკონტროლებელი წილის

მიუხედავად, კონსოლიდაციისთვის აუცილებელია, რომ სათაო საწარმო აკონტროლებდეს შვილობილ საწარმოს.

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, არამაკონტროლებელი წილი კაპიტალისა და ვალდებულებების განყოფილებაში ცალკე მუხლად აისახება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არამაკონტროლებელი წილი შესაძლოა შეფასდეს ორი მეთოდიდან ერთ-ერთით:

1. შეძენის თარიღით განსაზღვრული რეალური ღირებულებით;
2. არამაკონტროლებელი წილის პროპორციული წილი შეძენილი საწარმოს წმინდა იდენტიფიცირებად აქტივებში.

თუ არამაკონტროლებელი წილს ვაფასებთ საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით, იგი მიიღება ორი ელემენტის ჯამით. პირველი ელემენტია წილი წმინდა აქტივებში საანგარიშგებო თარიღისთვის, მეორე ელემენტი კი - არამაკონტროლებელი წილის გუდვილი. ასე მაგალითად, თუ C საწარმოს მიერ შეძენილია D საწარმოს 85% და საანგარიშგებო თარიღისთვის წმინდა აქტივების რეალური ღირებულება ტოლია 5,800-ისა, ხოლო B საწარმოს შესაბამისი არამაკონტროლებელი წილის გუდვილი არის 35, მაშინ არამაკონტროლებელი წილის შეფასება საანგარიშგებო თარიღისათვის რეალური ღირებულებით იქნება შემდეგი:  $5,800 \times 15\% + 35 = 905$  (ლარი). თუ არამაკონტროლებელ წილი შეფასდებოდა მეორე მეთოდით, მაშინ მისი ოდენობა იქნებოდა  $5,800 \times 15\% = 870$  (ლარი).

გასათვალისწინებელია, რომ გუდვილი და არამაკონტროლებელი წილი უნდა შეფასდეს ერთნაირად ან პროპორციულობის გუდვილით, ან რეალური ღირებულებით/სრული გუდვილით. ის, თუ შეფასების რომელ მეთოდს აირჩევს საწარმო, მთლიანად მასზეა დამოკიდებული

მოცემული მაგალითის მიხედვით, საჭიროა გავიანგარიშოთ არამაკონტროლებელი წილი და გუდვილი. გაანგარიშებისთვის გამოყენებულია პროპორციული მეთოდი. არამაკონტროლებელი წილი შეადგენს 20%-ს. 31 დეკემბრის მდგომარეობით, შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულებაა 125,000, რომელიც მოიცავს სააქციო კაპიტალს 80,000 და ასევე გაუნაწილებელ მოგებას 45,000. აქედან გამომდინარე, 31 დეკემბრისთვის არაკონტროლირებული წილი შეადგენს 25,000. ( $125,000 \times 20\% = 25,000$ ).

გუდვილის გამოსათვლელად საჭიროა შემდეგი გაანგარიშებები:

- ინვესტიციების ღირებულება შვილობილ საწარმოში - 70,000;
- შემენისას არამაკონტროლებელი წილი წმინდა აქტივებში -  $80,000 \times 20\% = 16,000$ ;
- სხვაობის დათვლა შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები შემენის თარიღისთვის.

შედეგად მიიღება, რომ პროპორციული მეთოდით გამოთვლილი გუდვილი შეადგენს:  $70,000 + 16,000 - 80,000 = 6,000$ .

ლიკვიდაციის ჩანაწერები შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი 1.3):

ცხრილი 1.3

აღწერა	ღირებულება	დებიტი	კრედიტი
შვილობილ საწარმოში სათაო საწარმოს ინვესტიციის ამოთიშვა	-70,000		ინვესტიცია შვილობილ საწარმოში
შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალის ამოთიშვა	+80,000	შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი	
შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგების 20%-ის ამოთიშვა	+9,000	შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება	

არაკონტროლირებული წილის გაანგარიშება	-25,000		არაკონტროლირებული წილი
გუდვილის გაანგარიშება	+6,000	გუდვილი	
	0		

მეორე ეტაპის შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი 1.4):

ცხრილი 1.4

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო	პირველი ნაბიჯი (გაერთიანება)	მეორე ნაბიჯი (ელიმინირება)
<b>აქტივები</b>				
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>				
ძირითადი საშუალებები	120,000	90,000	210,000	
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში (64,000 აქცია)	70,000	0	70,000	-70,000
შემენილი გუდვილი				6,000
გადავადებული საგადასახადო აქტივები	4,000		4,000	
	<b>194,000</b>	<b>90,000</b>	<b>284,000</b>	
<b>მიმდინარე აქტივები</b>				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	55,000	34,000	89,000	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან				
• შვილობილი საწარმო	8,000		8,000	
• სხვა დებიტორული დავალიანებები	30,000	18,000	48,000	
ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები	20,000	5,000	25,000	
	<b>113,000</b>	<b>57,000</b>	<b>170,000</b>	
<b>მოლიანი აქტივები</b>	<b>307,000</b>	<b>147,000</b>	<b>454,000</b>	
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>				
<b>კაპიტალი</b>				
სააქციო კაპიტალი				
• 200,000 აქცია	200,000		200,000	
• 80,000 აქცია		80,000	80,000	-80,000
გაუნაწილებელი მოგება	62,000	45,000	107,000	-9,000
არამაკონტროლებელი წილი				25,000
	<b>262,000</b>	<b>125,000</b>	<b>387,000</b>	
<b>ვალდებულებები</b>				
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>				

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		2,000	2,000	
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან				
• სათაო საწარმო		8,000	8,000	
• სხვა კრედიტორული დავალიანებები	35,000	12,000	47,000	
12 თვეში გადასახდელი სესხები	10,000		10,000	
	<b>45,000</b>	<b>22,000</b>	<b>67,000</b>	
<b>მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>307,000</b>	<b>147,000</b>	<b>454,000</b>	

საწარმოთა ჯგუფის საწარმოებს შორის შესაძლოა განხორციელდეს მრავალი ოპერაცია, მაგალითად, საქონლის ან ძირითადი საშუალებების მიწოდება, მომსახურების გაწევა, სესხის გაცემა, დივიდენდების გაცემა, მონაწილეობა ცენტრალურ ადმინისტრაციულ საქმიანობაში და სხვა.

შიდაჯგუფური ოპერაციები წარმოშობენ არაერთ პოტენციურ პრობლემას. მათ შორის გამოიყოფა შემდეგი სფეროები:

- მიმდინარე ანგარიშების არსებობა სათაო და შვილობილ საწარმოებს შორის;
- მარაგის გაყიდვასთან დაკავშირებული არარეალიზებული მოგება;
- გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული არარეალიზებული მოგება;
- ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოს სავალ ვალდებულების ფლობა;
- დივიდენდები და სესხის პროცენტი.

შესაძლებელია, სათაო და შვილობილ საწარმოებს შორის მიმდინარეობდეს ვაჭრობა განვადების პირობებით. ამგვარი ვაჭრობის შედეგად ერთ საწარმოს წარმოექმნება ვალდებულება მეორე საწარმოს მიმართ, მეორეს კი - მოთხოვნა პირველის მიმართ. შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გაჩნდება მიმდინარე ანგარიშები (ერთი მხრივ მოთხოვნები, მეორე მხრივ - ვალდებულებები). რეალურად, ეს ანგარიშები ჩასახურია ჯგუფის შიგნით და თანხის გადახდაც უნდა მოხდეს არა ჯგუფის გარეშე წევრისათვის, არამედ საწარმოთა ჯგუფის წევრებს შორის. აქედან გამომდინარე, მსგავსი

ანგარიშები არ უნდა ჩანდეს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გარკვეული ოპერაციების ასახვა შესაძლოა განხორციელდეს ტრანზიტულ ანგარიშებზე, მანამ, სანამ ოპერაციების შედეგი რეალურად არ განხორციელდება. მაგალითად, ფულადი სახსრები ან საქონელი შესაძლოა ჯერ ისახებოდეს შუალედურ ანგარიშებზე, რის გამოც, მიმდინარე ანგარიშები ერთმანეთს არ შეესაბამებოდეს.

თუ სათაო და შვილობილ საწარმოებს შორის გადასაცემი საქონელი ან ფულადი სახრები გზაში იმყოფება, უნდა გაკეთდეს მაკორექტირებელი გატარება მიმდების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კონსოლიდაციის მიზნებისათვის აღნიშნულ გატარებებს ექნება შემდეგი სახე:

- გზაში მყოფი ფულადი სახსრების მაკორექტირებელი გატარება:

ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
ფულადი სახსრები გზაში	X	
მოთხოვნების მიმდინარე ანგარიში		X

- გზაში მყოფი საქონლისთვის მაკორექტირებელი გატარება იქნება:

ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
მრავები	X	
ვალდებულებების მიმდინარე ანგარიში		X

ოპერაციების ორმაგად ასახვის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა შიდაჯგუფური ოპერაციების წარმოქმნილი ყველა მუხლის გამორიცხვა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან.

მოცემულ მაგალითში, სათაო და შვილობილი საწარმოების ინდივიდუალური ანგარიშგებებიდან ჩანს, რომ სათაო საწარმო ფლობს მოთხოვნებს მიწოდებიდან და

მომსახურებიდან შვილობილი საწარმოს წინაშე (8,000), ხოლო შვილობილ საწარმოს გააჩნია ვალდებულებები მოთხოვნებიდან და მომსახურებიდან სათაო საწარმოს მიმართ (8,000). სავარაუდოდ, ეს ორივე მუხლი ერთსა და იმავე ოპერაციასთან არის დაკავშირებული სათაო და შვილობილ საწარმოებს შორის, ამიტომ, საჭიროა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან ამოითიშოს აღნიშნული მუხლები.

მესამე ეტაპის შედეგები ასახულია ცხრილში 1.5:

ცხრილი 1.5

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო	პირველი ნაბიჯი (გაერთიანება)	მეორე ნაბიჯი (ელიმინირება)	მესამე ნაბიჯი შიდაჯგუფური ოპერაციები
<b>აქტივები</b>					
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>					
ძირითადი საშუალებები	120,000	90,000	210,000		
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში (64,000 აქცია)	70,000	0	70,000	-70,000	
შემენილი გუდვილი				6,000	
გადავადებული საგადასახადო აქტივები	4,000		4,000		
	<b>194,000</b>	<b>90,000</b>	<b>284,000</b>		
<b>მიმდინარე აქტივები</b>					
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	55,000	34,000	89,000		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან					
• შვილობილი საწარმო	8,000		8,000		-8,000
• სხვა დებიტორული დავალიანებები	30,000	18,000	48,000		
ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები	20,000	5,000	25,000		
	<b>113,000</b>	<b>57,000</b>	<b>170,000</b>		
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>307,000</b>	<b>147,000</b>	<b>454,000</b>		
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>					
<b>კაპიტალი</b>					
სააქციო კაპიტალი					
• 200,000 აქცია	200,000		200,000		
• 80,000 აქცია		80,000	80,000	-80,000	
გაუნაწილებელი მოგება	62,000	45,000	107,000	-9,000	
არამაკონტროლებელი წილი				25,000	
	<b>262,000</b>	<b>125,000</b>	<b>387,000</b>		
<b>ვალდებულებები</b>					
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>					

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		2,000	2,000		
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>					
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან					
• სათაო საწარმო		-8,000	-8,000		-8,000
• სხვა კრედიტორული დავალიანებები	-35,000	-12,000	-47,000		
12 თვეში გადასახდელი სესხები	-10,000		-10,000		
	<b>-45,000</b>	<b>-22,000</b>	<b>-67,000</b>		
<b>მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>-307,000</b>	<b>-147,000</b>	<b>-454,000</b>		

საბოლოოდ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მიიღებს შემდეგ სახეს (იხ. ცვრილი 1.6):

ცხრილი 1.6

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო	პირველი ნაბიჯი (გაერთიანება)	მეორე ნაბიჯი (ელიმინირ.)	მესამე ნაბიჯი (შიდაჯგ. ოპერაციები)	კონსოლ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
<b>აქტივები</b>						
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>						
ძირითადი საშუალებები	120,000	90,000	210,000			210,000
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში (64,000 აქცია)	70,000	0	70,000	-70,000		0
შემენილი გუდვილი				6,000		6,000
გადავადებული საგადასახადო აქტივები	4,000		4,000			4,000
	<b>194,000</b>	<b>90,000</b>	<b>284,000</b>			<b>220,000</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>						
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	55,000	34,000	89,000			89,000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან						
• შვილობილი საწარმო	8,000		8,000		-8,000	0
• სხვა დებიტორული დავალიანებები	30,000	18,000	48,000			48,000
ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები	20,000	5,000	25,000			25,000
	<b>113,000</b>	<b>57,000</b>	<b>170,000</b>			<b>162,000</b>
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>307,000</b>	<b>147,000</b>	<b>454,000</b>			<b>382,000</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>						
<b>კაპიტალი</b>						
სააქციო კაპიტალი						
• 200,000 აქცია	200,000		200,000			200,000

• 80,000 აქცია		80,000	80,000	-80,000		0
გაუნაწილებელი მოგება	62,000	45,000	107,000	-9,000		98,000
არამაკონტროლებელი წილი				25,000		25,000
	<b>262,000</b>	<b>125,000</b>	<b>387,000</b>			<b>323,000</b>
<b>ვალდებულებები</b>						
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>						
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		2,000	2,000			2,000
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან						
• სათაო საწარმო		8,000	8,000		-8,000	0
• სხვა კრედიტორული დავალიანებები	35,000	12,000	47,000			47,000
12 თვეში გადასახდელი სესხები	10,000		10,000			10,000
	<b>45,000</b>	<b>22,000</b>	<b>67,000</b>			<b>59,000</b>
<b>მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>307,000</b>	<b>147,000</b>	<b>454,000</b>			<b>382,000</b>

მოცემულ მაგალითში, საბოლოო კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მუხლები გამოთვლილია სამი ეტაპის დაჯამებით, სადაც სათაო საწარმოს ინვესტიცია შვილობილ საწარმოში არის ნულის ტოლი და ნულის ტოლია ასევე შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი. შედეგად, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მართლაც, მოცემულია მხოლოდ სათაო საწარმოს სააქციო კაპიტალი. როგორც გამოვთვალეთ, გუდვილის ღირებულებაა 6,000 ხოლო არამაკონტროლებელი წილისა კი - 25,000.

კონსოლიდირებული გაუნაწილებელი მოგება არის 98,000-ის ტოლი. საიდანაც:

- სათაო საწარმოს გაუნაწილებელი მოგება არის 62,000;
- სათაო საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს შეძენის შემდგომ მოგებაში არის 36,000 (45,000 x 80%).

შესაძლოა, შვილობილი საწარმო არ იყენებდეს იმავე სააღრიცხვო პოლიტიკას, რასაც სათაო საწარმო. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა, კონსოლიდაციამდე შესწორდეს შვილობილი საწარმოს ბუღალტრული წიგნები. საამისოდ ანალოგიური მუხლების შეკრების დაწყებამდე შვილობილი საწარმოს ინდივიდუალურ ბალანსში შეაბამისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები უნდა დაკორექტირდეს.

აუცილებელია, რომ სათაო საწარმოს მიერ გადახდილი კომპენსაცია რეალური ღირებულებით იყოს ასახული. ასევე რეალური ღირებულებით უნდა შეფასდეს საწარმოთა გაერთიანებისას იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები.

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით ასახვის მიზნები შემდეგია:

- კონსოლიდირებული ანგარიშგება უნდა მომზადდეს არა ცალკეული საწარმოების, არამედ მთლიანი ჯგუფის პოზიციიდან. შვილობილი საწარმოს აქტივების საბალანსო ღირებულება კი ასახავს მათ თვითღირებულებას კონკრეტული შვილობილი საწარმოსათვის, ამის გამო, საბალანსო ღირებულებით მათი შეფასება შეუფერებელია და ჯგუფის პოზიციიდან გამომდინარე მათი თვითღირებულება რეალური ღირებულებაა შეძენის თარიღისთვის
- გასათვალისწინებელია გუდვილის გამოთვლის სპეციფიკაც. გუდვილი გამოითვლება შეძენილი საწარმოს ღირებულებისა და შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას შორის სხვაობით. შესაბამისად, გუდვილის ღირებულებას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ გამოყენებული იქნება რეალური ღირებულება.

ინვესტიციის თვითღირებულების გამოთვლისას, უნდა დადგინდეს შეძენის ღირებულება. ის მოიცავს შემდეგ ორ ელემენტს:

1. გადახდილ ფულად სახსრებს;
2. სხვა ნებისმიერი სახის კომპენსაციას რეალური ღირებულებით.

შეძენასთან შესაძლოა დაკავშირებული იყოს სხვა, მეორეხარისხოვანი დანახარჯები, რომლებსაც არაპირდაპირ დანახარჯებს უწოდებენ. ესენია, მაგალითად: იურიდიული, საბუღალტრო, საშემფასებლო მომსახურება. ყოველი ასეთი ხარჯი შეძენისთანავე უნდა აისახოს ხარჯად.

რიგ შემთხვევებში, კომპენსაციის მთლიანი გადახდა შეძენის თარიღისთვის არ ხდება და გადასახდელი კომპენსაციის ნაწილი შეიძლება გადავადდეს მომავალი თარიღისთვის.

გადავადებული გადასახდელი კომპენსაციის ნაწილს გადავადებული კომპენსაცია ეწოდება. ის უნდა შეფასდეს შეძენის თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით.

პირობითი მოვლენების განსხვავებული შედეგის გავლენით შესაძლოა შეძენის ღირებულება შეიცვალოს. ასეთ შემთხვევაში, მსგავსი ცვლილება არ გამოიწვევს გუდვილის ცვლილებას და ის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეძენის ღირებულება 12 თვეში იცვლება, შეძენის თარიღისთვის კომპენსაციის რეალურ ღირებულებასთან დაკავშირებული ცვლილება აისახება და გუდვილის ცვლილებასაც გამოიწვევს.

ჯგუფის წევრების მიერ ერთმანეთში შესრულებული ოპერაციების შედეგად შესაძლებელია წარმოიშვას მოგება, რომელსაც არარეალიზებული მოგება ეწოდება. ის შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, როდესაც ჯგუფის წევრები ერთმანეთში ახორციელებენ მარაგებთან დაკავშირებულ ვაჭრობას, ანდაც მაშინ, როდესაც ჯგუფის ერთი წევრი მეორეს გრძელვადიან აქტივს გადასცემს.

არარეალიზებული მოგება აისახება საწარმოთა ინდივიდუალურ ანგარიშგებებში, თუმცა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან ის უნდა გამოირიცხოს.

მარაგის სახით არსებული არარეალიზებული მარაგის კორექტირების პროცესი მდგომარეობს შემდეგში:

1. განისაზღვრება თითოეული საწარმოს ანგარიშებში ასახული საბოლოო მარაგის ღირებულება, რომელიც ჯგუფში შემავალმა სხვა საწარმომ იყიდა;
2. სავაჭრო დანამატის ან მარჟის გამოყენებით გამოითვლება, ამ ღირებულებიდან რამდენია მოგება, რომელიც გამყიდველმა საწარმომ მიიღო;
3. შემდეგ გაკეთდება კორექტირება. კორექტირების წესი დამოკიდებულია იმაზე, ვინ არის გამყიდველი.<sup>7</sup>

---

<sup>7</sup> F7-„ფინანსური ანგარიშგება“

თუ გამყიდველი არის სათაო საწარმო, ამ შემთხვევაში მოგების ელემენტი ჩაირთვება ჰოლდინგური კომპანიის ანგარიშებში და მთლიან ჯგუფს დაუკავშირდება. ბუღალტრულ გატარებებს ექნება სახე:

ანგარიშის დასახელება	დებიტი	კრედიტი
ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება	X	
ჯგუფის მარაგი		X

თუ გამყიდველი არის შვილობილი საწარმო, მაშინ მოგების ელემენტი ჩაირთვება შვილობილის ანგარიშგებაში და ნაწილობრივ ჯგუფს, ნაწილობრივ არამაკონტროლებელ წილს დაუკავშირდება. ბუღალტრულ გატარებებს ექნება სახე:

ანგარიშის დასახელება	დებიტი	კრედიტი
შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება	X	
ჯგუფის მარაგი		X

შესაძლებელია ჯგუფის ერთმა წევრმა მეორეს მიჰყიდოს გრძელვადიანი აქტივები. კორექტირება უნდა გაკეთდეს იმგვარად, თითქოს გაყიდვა არ განხორციელდა, ანუ კორექტირებების შედეგად არ უნდა ფიქსირდებოდეს გაყიდვიდან მიღებული მოგება და ცვეთა დამყარებული უნდა იყოს აქტივის თავდაპირველ ღირებულებაზე მთლიანი ჯგუფის მიხედვით.

## 2.3 კონსოლიდირებული მოგება - ზარალის ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგება ასახავს საწარმოს საქმიანობის შედეგს კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. თავის მხრივ, ეს შედეგი შეიძლება იყოს როგორც

დადებითი, ასევე უარყოფითი, რის შესაბამისადაც გვაქვს ან ზარალი, ან მოგება. მოგება/ზარალი შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობით მიიღება. თუ შემოსავლები აღემატება ხარჯებს, საწარმოს ფუნქციონირების ფინანსური შედეგი დადებითია და პირიქით, თუ ხარჯები აღემატება შემოსავლებს, გვაქვს უარყოფითი შედეგი ანუ ზარალი.

მაშინ, როცა ერთი კონკრეტული კომპანიის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს ამ კომპანიის ფინანსურ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდში, კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ასახავს საწარმოთა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული წმინდა აქტივების გამოყებით შექმნილ მოგებას.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ეფუძნება ორ ძირითად პრინციპს:

1. ამონაგების მუხლიდან დაბეგვრის შემდგომი მოგების მუხლამდე მოიცავს სათაო საწარმოს ყველანაირ შემოსავალსა და ხარჯს პლუს შვილობილი საწარმოების ყველანაირი შემოსავალი და ხარჯი;
2. დაბეგვრის შემდგომი მოგების შემდეგ გამოკლებულია არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთრებული მოგების ნაწილი

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება შესაძლოა გაიყოს ორ ძირითად განყოფილებად :

1. პირველი განყოფილება გვიჩვენებს, რა შედეგები იქნა მიღწეული სათაო საწარმოს მიერ კონტროლირებადი აქტივებიდან. ამ განყოფილებაში სრულად აისახება სათავოს აწარმოსა და ყველა მისი შვილობილი საწარმოს რეალზიაციიდან მიღებული ამონაგები, ასევე რეალიზებული საქონის თვითღირებულება, საერთო მოგება, გადასახადი და დაბეგვრის შემდგომი მოგება ან ზარალი;
2. მეორე განყოფილება ასახავს პირველ განყოფილებაში ასახული მოგებიდან, რამდენი ეკუთვნის სათაო საწარმოს აქციონერებს და რამდენი სხვა დანარჩენებს. დაბეგვრის შემდგომი მოგება განაწილებულია სათაო საწარმოს სააქციო

კაპიტალის მესაკუთრეებსა და იმ არამაკონტროლებელი წილის მესაკუთრეებს შორის, რომლებიც არიან თავიანთ წილზე უფლებამოსილები შვილობილი საწარმოების მოგებაში. ამასთან, ეს შვილობილი საწარმოები მთლიანად საწარმოთა ჯგუფს არ ეკუთვნის.

ისევე როგორც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებასაც გააჩნია კონსოლიდაციის მექანიზმები, რაც გულისხმობს:

1. კონსოლიდაციის ცხრილებს;
2. ჯგუფის სტრუქტურის დიაგრამას;
3. შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები შეძენისას, ასევე მოითხოვება გუდვილის გამოთვლა;
4. გუდვილის გამოთვლა გაუფასურების მოგებაში ასახვისას;
5. არამაკონტროლებელი წილი.

კონსოლიდაციის მექანიზმებიდან პირველი კონსოლიდაციის ცხრილებია. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სათაო და შვილობილი საწარმოების შემოსავლებისა და ხარჯების გასაერთიანებლად, ასევე საჭირო კორექტირებების ჩასატარებლად. კონსოლიდაციის ცხრილები სრულად მოიცავს ინფორმაციას სათაო საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რაც შეეხება შვილობილ საწარმოს, მისი შემოსავლები და ხარჯები სრულად ჩაითვლება მოცემულ ცხრილებში გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეძენა წლის მანძილზე განხორციელდა. ასეთ დროს, დროის პროპორციულად მოხდება მათი მიკუთვნება.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების შედგენის მექანიზმების უკეთ გასაგებად განხილულია პრაქტიკული მაგალითი:

ცხრილში 2.1 მოცემულია სათაო და შვილობილი საწარმოების მიმდინარე წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.

ცხრილი 2.1

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	277,000	93,000
რეალიზებული საქონლის ღირებულება	-78,500	-27,000
<b>საერთო მოგება</b>	<b>198,500</b>	<b>66,000</b>
შვილობილი საწარმოსაგან მიღებული დივიდენდები	24,000	
კომერციული ხარჯები	-43,000	-17,000
ადმინისტრაციული ხარჯები	-68,000	-20,250
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>111,500</b>	<b>28,750</b>
მოგების გადასახადი	-16,725	-4,313
<b>წმინდა მოგება</b>	<b>94,775</b>	<b>24,438</b>

საწარმოთა შესახებ წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია:

- სათაო საწარმო ფლობს შვილობილი საწარმოს კაპიტალის 75%-ს;
- გუდვილის გაუფასურებამ 1 იანვრისთვის შეადგინა 43,000 ლარი, ხოლო წლის ბოლოს გაუფასურებამ შეადგინა 12,800 ლარი. გაუფასურების ზარალი ადმინისტრაციულ ხარჯებს მიაკუთვნეს;
- სათაო საწარმომ წლის მანძილზე შვილობილ საწარმოს მიჰყიდა საქონელი 37,000 ლარად. წლის ბოლოს შვილობილი საწარმოს საბოლოო მარაგში ფიქსირდებოდა ამ საქონლის ნაშთი და მოგების ელემენტი შეადგენდა 15,500 ლარს;
- შვილობილი საწარმოს აქტივების რეალური ღირებულების დადგენისას აღმოჩნდა, რომ დანადგარების რეალური ღირებულება 35 ათასი ლარით აღემატება საბალანსო ღირებულებას. გადაწყვიტეს, რომ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ

მოხდინათ ჩარხების აფასების ასახვა, რომელთა გამოყენების ვადა განისაზღვრა 5 წლით.

კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან უნდა გამოირიცხოს შვილობილი საწარმოს მიერ სათაო საწარმოსათვის დივიდენდების გადახდა. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მხოლოდ სათაო საწარმოს მიერ თავისი აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები აისახება. ამასთან, არც ერთი დივიდენდური შემოსავალი, რომელიც კონსოლიდირებულ მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება, არ უნდა იყოს წარმოშობილი შვილობილ ან მეკავშირე საწარმოებში ჩადებული ინვესტიციიდან.

**მაგალითის გაგრძელება:**

სათაო საწარმოსათვის შვილობილი საწარმოს მიერ გადახდილმა დივიდენდებმა შეადგინა 24000 ლარი. აღნიშნული თანხა ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის ამოითიშება და შედეგად დარჩება შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.2

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	277,000	93,000
რეალიზებული საქონლის ღირებულება	-78,500	-27,000
<b>საერთო მოგება</b>	<b>198,500</b>	<b>66,000</b>
კომერციული ხარჯები	-43,000	-17,000
ადმინისტრაციული ხარჯები	-68,000	-20,250

მოგება დაბეგვრამდე	87,500	28,750
მოგების გადასახადი	-13,125	-4,313
<b>წმინდა მოგება</b>	<b>74,375</b>	<b>24,438</b>

წლის მანძილზე გამოვლენილი გუდვილის გაუფასურება მიმდინარე წელს უნდა აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯებში. სათაო საწარმოს მესაკუთრეთა მოგება კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემცირებულია მიღებული დივიდენდებით, თუმცა ბალანსში ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება იქნება გაზრდილი ამ სიდიდით.

**მაგალითის გაგრძელება:**

წლის ბოლოს გუდვილის გაუფასურებამ შეადგინა 12,800 ლარი ხოლო გაუფასურების ზარალი ადმინისტრაციულ ხარჯებს მიაკუთვნეს, შედეგად კორექტირების ველში ჩაიწერება ეს თანხა, რომელიც გაზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს (იხ. ცხრილი 2.3)

ცხრილი 2.3

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო	კორექტირება
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	277,000	93,000	
რეალიზებული საქონლის ღირებულება	-78,500	-27,000	
<b>საერთო მოგება</b>	<b>198,500</b>	<b>66,000</b>	
კომერციული ხარჯები	-43,000	-17,000	
ადმინისტრაციული ხარჯები	-68,000	-20,250	-12,800

მოგება დაბეგვრამდე	87,500	28,750	
მოგების გადასახადი	13,125	4,313	
<b>წმინდა მოგება</b>	<b>74,375</b>	<b>24,438</b>	<b>-12,800</b>

შიდაჯგუფურ ტრანსაქციებს მიეკუთვნება ისეთი ტრანსაქციები, რომლებიც ეკონომიკური გაერთიანების ცალკეულ ლეგალურ ეკონომიკურ ერთეულებს შორის წარმოებს. მსგავსი ტრანსაქციები ინდივიდუალური ეკონომიკური აგენტების ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აღირიცხოს, მაგრამ ნებისმიერი თანხა, რომელიც ჯგუფის წევრების მფლობელობაშია და მათ შორის დებიტორულ ანგარიშს წარმოადგენს, ასევე ნებისმიერი ტრანსაქცია კომპანიის შიგნით, რომელიც მოგებასა თუ ზარალს ქმნის არ უნდა აღირიცხოს ეკონომიკური ერთეულის ანგარიშებში და არ უნდა გაითვალისწინებოდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მის რეალიზებამდე, რაც გულისხმობს გარე კომპანიასთან რისკისა და შემოსავლების გადაცემას.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება და სხვა ერთობლივი შემოსავალი აჩვენებს ისეთ კომპანიებთან ოპერაციების შედეგებს, რომლებიც არ ეკუთვნის გაერთიანებას. ყველანაირი შიდა ტრანსაქციების ეფექტი გაერთიანების წევრ კომპანიებს შორის გამორიცხულია, რადგან ეკონომიკური ერთეულის გადმოსახედიდან, შემოსავალი არ წარმოიქმნება ჯგუფის შიგნით ტრანსაქციების დროს, მხოლოდ გარე კომპანიებთან შესრულებული ტრანსაქციების საშუალებით ხდება შემოსავლების ფორმირება.

საწარმოთა ჯგუფის შიგნით შესრულებული ტრანსაქციების ერთ-ერთი ფორმაა შიდაჯგუფური ვაჭრობა. აუცილებელია, რომ კონსოლიდაციის ცხრილებში გამორიცხული იყოს შიდაჯგუფური რეალიზაციები, ამიტომ კონსოლიდირებული ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$\text{კონსოლიდირებული ამონაგები} = \text{სათაო საწარმო ამონაგები} + \text{შვილობილი საწარმოს ამონაგები} - \text{შიდაჯგუფური რეალიზაცია}$$

კონსოლიდირებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = სათაო საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება + შვილობილი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - შიდაჯგუფური რეალიზაცია

ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწარმოთა ჯგუფის შიგნით რეალიზებული რომელიმე საქონელი ასახულია საბოლოო მარაგში, მისი ღირებულება უნდა შესწორდეს ჯგუფის მიმართ არსებულ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. კონსოლიდაციის ცხრილში, გამყიდველის სვეტში არარეალიზებული მოგების შესაბამისი კორექტირება კი რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ზრდის სახით უდნა იყოს ნაჩვენები.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც არარეალიზებული მოგება თავდაპირველად შვილობილ საწარმოში წარმოიშვა, არამაკონტროლებელი წილი უნდა შესწორდეს მისი კუთვნილი წილით არარეალიზებულ მოგებაში. საამისოდ, უპირველესყოვლისა, უნდა გამოირიცხოს მთელი არარეალიზებული მოგება, რათა განისაზღვროს ჯგუფის ვაჭრობის შედეგად მიღებული საერთო მოგების სწორი თანხა. ამის შემდეგ გამოითვლება არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნილებელი ნაწილი, შვილობილი საწარმოს დაბეგვრის შემდგომი მოგების შემცირებული თანხის საფუძველზე. მის ოდენობას ავტომატურად მივიღებთ, იქიდან გამომდინარე, რომ არარეალიზებული მოგების კორექტირება კონსოლიდაციის ცხრილში კეთდება გამყიდველის სვეტში, ხოლო არამაკონტროლებელი წილის გამოსათვლელად ამავე ცხრილში გამოთვლილი შვილობილი საწარმოს დაბეგვრის შემდგომი მოგება გამოიყენება.

**მაგალითის გაგრძელება:**

სათაო საწარმომ შვილობილ საწარმოს მიჰყიდა საქონელი 37,000 ლარად. წლის ბოლოს შვილობილი საწარმოს საბოლოო მარაგში ფიქსირდებოდა ამ საქონლის ნაშთი და მოგების ელემენტი შეადგენდა 15,500 ლარს. აღნიშნული ოპერაცია შემდეგნაირად აისახება (იხ. ცხრილი 2.4):

ცხრილი 2.4

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო	კორექტირება
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	277,000	93,000	-37,000
რეალიზებული საქონლის ღირებულება	-78,500	-27,000	37,000
არარეალიზებული მოგების ანარიცხი	-15,500		
კომერციული ხარჯები	-43,000	-17,000	
ადმინისტრაციული ხარჯები	-68,000	-20,250	-12,800
მოგების გადასახადი	-13,125	-4,313	
<b>წმინდა მოგება</b>	<b>58,875</b>	<b>24,438</b>	<b>-12,800</b>

საწარმოთა ჯგუფის წევრ საწარმოებს შორის შესაძლებელია არსებობდეს გადავადებული სესხი. სესხის მიმღები გადაიხდის შიდაჯგუფური სესხის პროცენტს, ხოლო სესხის მიმღები კი მიიღებს მას. კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში უნდა გამოირიცხოს შიდაჯგუფური სესხები და ასევე სესხის პროცენტი.

ჯგუფის შიგნით, გრძელვადიანი აქტივების მიყიდვის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან უნდა გამოიქვითოს ამ გადაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოგება და ზარალი, ასევე უნდა შესწორდეს დარიცხული ცვეთა ისე, რომ ის ეყრდნობოდეს ჯგუფთან მიმართებით აქტივის თვითღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის წევრებს შორის ძირითადი საშუალებების გაყიდვისას, ამ აქტივის გასაყიდი ფასი იგივეა, რაც მისი საბალანსო ღირებულება გამყიდველის ბუღალტრულ წინგებში, მაშინ არავითარი კორექტირება არ იქნება საჭირო.

შვილობილ საწარმოთა ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცვეთა იმ ღირებულებით აისახება, რომელიც გრძელვადიან აქტივს აქვს შვილობილი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ცვეთა უნდა აისახოს გრძელვადიანი აქტივის იმ რეალური ღირებულებით, რომელიც ნაჩვენებია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**მაგალითის გაგრძელება:**

შვილობილი საწარმოს აქტივების რეალური ღირებულების დადგენისას აღმოჩნდა, რომ დანადგარების რეალური ღირებულება 35,0 ათასი ლარით აღემატება საბალანსო ღირებულებას. გადაწყვიტეს, რომ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ მოეხდინათ ჩარხების აფასების ასახვა, რომელთა გამოყენების ვადა განისაზღვრა 5 წლით.

დანადგარის აფასებული ღირებულებიდან დამატებითი ცვეთის დარიცხვა შეადგენს  $35000 / 5 = 7000$  (ლარი), რაც აისახება ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გატარებით:

ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7,000	
დაგროვილი ცვეთა		7,000

აღნიშნულ ოპერაცია შემდეგნაირად იქონიებს გავლენას (იხ. ცხრილი 2.5):

ცხრილი 2.5

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო	კორექტირება
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	277,000	93,000	-37,000

რეალიზებული საქონლის ღირებულება	-78,500	-27,000	37,000
არარეალიზებული მოგების ანარიცხი	-15,500		
დამატებითი ცვეთა		-7000	
კომერციული ხარჯები	-43,000	-17,000	
ადმინისტრაციული ხარჯები	-68,000	-20,250	-12,800
მოგების გადასახადი	-13,125	-4,313	
<b>წმინდა მოგება</b>	<b>58,875</b>	<b>17,437</b>	<b>-12,800</b>

არამაკონტროლებელი წილის არსებობის შემთხვევაში, საჭიროა მისი გამოთვლა შემდეგნაირად: არამაკონტროლებელი წილის % \* შვილობილი საწარმოს დაბეგვრის შემდგომი მოგება. არამაკონტროლებელი წილი გამოითვლება დივიდენდების გადახდამდე და მისი ოდენობა მოიცავს შვილობილი საწარმოს დივიდენდებსა და გაუნაწილებელ მოგებაში არამაკონტროლებელი წილის ნაწილს.

**მაგალითის გაგრძელება:**

სათაო საწარმო ფლობს შვილობილი საწარმოს კაპიტალის 75%-ს. აქედან გამომდინარე, არამაკონტროლებელი წილი იქნება  $17,437 \times 25\% = 4,359.25$ .

კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებას ექნება სახე (იხ. ცხრილი 2.6):

ცხრილი 2.6

	სათაო საწარმო	შვილობილი საწარმო	კორექტირება	საბოლოო
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	277,000	93,000	-37,000	333,000

რეალიზებული საქონლის ღირებულება	-78,500	-27,000	37,000	-91,000
არარეალიზებული მოგების ანარიცხი	-15,500			
დამატებითი ცვეთა		-7000		
კომერციული ხარჯები	-43,000	-17,000		-60,000
ადმინისტრაციული ხარჯები	-68,000	-20,250	-12,800	-101,050
მოგების გადასახადი	-13,125	-4,313		-17,438
<b>წმინდა მოგება</b>	<b>58,875</b>	<b>17,437</b>	<b>-12,800</b>	<b>63,512</b>

თუ შვილობილი საწარმო შეძენილ იქნა წლის განმავლობაში, შვილობილი საწარმოს შედეგების კონსოლიდაცია უნდა მოხდეს შეძენის თარიღიდან, ე.ი იმ თარიღიდან, როდესაც მოხდა საწარმოზე კონტროლის აღება.

პრაქტიკაში ამასთან დაკავშირებით მოითხოვება:

- შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების დადგენა შეძენის თარიღისათვის, გუდვილის გამოსათვლელად;
- შეძენის წელს მიღებული შვილობილი საწარმოს შედეგების მიკუთვნება დროის პროპორციულად. ამ მიზნით, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული, იგულისმხება რომ ამონაგების და ხარჯების დარიცხვა თანაბარზომიერად ხდება;
- შვილობილი საწარმოს შედეგების დროს პროპორციულად განაწილების შემდეგ, როგორც წესი, გამოიქვეითება შეძენის შემდგომი შიდაჯგუფური მუხლები.<sup>8</sup>

<sup>8</sup> F7- „ფინანსური ანგარიშგება“

## 2.4. კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზანია, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები უზრუნველყოს საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციით. ის გვიჩვენებს ფულადი სახსრების მასას, მოძრაობასა და საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთის ცვლილებას პერიოდის განმავლობაში. ფულადი ნაკადების ანგარიშგება მზადდება საკასო პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ ასახავს უშუალოდ ფულადი თანხების მოძრაობას.

ფულად საშუალებებს მიეკუთვნება ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხები, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს ყველაზე მაღალლიკვიდურ ანუ აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ, ვინაიდან მათი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება. ფულადი თანხების ეკვივალენტებია მაღალლიკვიდური ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები), რომელთა დაფარვის ვადა სამ თვემდეა, შესაძლებელია დაუბრკოლებლად გადაიცვალოს ნაღდ ფულზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ბასს 7 არ ადგენს რაიმე კონკრეტულ სავალდებულო ფორმატს ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, თუმცა მოითხოვს, რომ ფულადი ნაკადები უნდა კლასიფიცირდეს შემდეგ კატეგორიებად:

1. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან;
2. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან;
3. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან.

**ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** – მასში მოცემულია საწარმოს ისეთ ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც მოგების ან ზარალის განსაზღვრაში მონაწილეობენ. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

- ა) საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;

- ბ) როიალტებიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- გ) საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- დ) თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;
- ე) სადაზღვევო საწარმოს მიერ სადაზღვევო პრემიებითა და მოთხოვნებით, ანუიტეტებითა და სხვა სადაზღვევო დახმარებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები;
- ვ) მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ იგი დაკავშირებული არ არის საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან; და
- ზ) კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული ხელშეკრულებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები

**ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** - ფულადი ნაკადები დაკავშირებულია ისეთ საქმიანობასთან, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები. ესენია:

- ა) აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;
- ბ) მესაკუთრეთათვის აქციების შეძენის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილი ფულადი სახსრები;
- გ) სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;
- დ) სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;
- ე) მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან - ფულადი ნაკადები დაკავშირებულია გრძელვადიან აქტივებსა და იმ სხვა ინვესტიციათა შექმნა და რეალიზაციასთან, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები. ესენია:

- ა) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები. ამაში ასევე შედის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები და საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები;
- ბ) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- გ) სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები;
- დ) სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- ე) სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები;
- ვ) სხვა პირებზე გაცემული ავანსებისა და სესხების დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები;
- ზ) ფიუჩერსული, ფორვარდული, საოფციო და სვოპკონტრაქტებით გადახდილი ფულადი სახსრები;
- თ) ფიუჩერსული, ფორვარდული, საოფციო და სვოპკონტრაქტებით მიღებული ფულადი სახსრები.

საწარმოთა გაერთიანებისას, საწარმოთა ჯგუფმა უნდა წარადგინოს კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება, რომელიც გააერთიანებს შვილობილი საწარმოებისა და სათაო საწარმოს ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს შესთავაზებს ნათელ სურათს გაერთიანებულ საწარმოთა ფულადი ნაკადების შესახებ.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის განხილულია მაგალითი. ბრიტანეთში მოღვაწე საწარმომ (სათაო საწარმო) შეიძინა გერმანული საწარმოს (შვილობილი საწარმო) 100%. 2018 წელს განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

- 31 ოქტომბერს, შვილობილმა საწარმომ მშობელ საწარმოს გადაუხადა 1000 ევროს ღირებულების დივიდენდები;
- 30 ნოემბერს, სათაო საწარმომ შვილობილისგან შეიძინა 5000 ევროს ღირებულების საქონელი (შვილობილისთვის მისი ღირებულება შეადგენდა 4500 ევროს). საქონელი წლის ბოლოს დარჩა მარაგში.

ფუნტსა და ევროს შორის გაცვლითი კურსების შემდეგნაირი მონაცემები დაფიქსირდა:

- 2017 წ. 31 დეკემბერი: 0.7340;
- 2018 წ. 31 ოქტომბერი: 0.9005;
- 2018 წ. 30 ნოემბერი: 0.8525;
- 2018 წ. 31 დეკემბერი: 0.8562;
- 2018 წ. საშუალო კურსი: 0.8188.

2018 წლის მდგომარეობით, საწარმოთა ფინანსურ ანგარიშებს აქვს შემდეგი სახე (იხ. ცხრილი 3.1):

ცხრილი 3.1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - სათაო საწარმო	GBP	GBP	მოგება-ზარალის ანგარიშგება - სათაო საწარმო	GBP
ძირითადი საშუალებები	225,000	230,000	გაყიდვები	580,000
მარაგები	56,000	64,000	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-479,000
დებიტორული დავალიანებები	39,000	43,000	ცვეთა	-18,000
ფულადი სახსრები	80,000	91,000	სხვა ხარჯები	-54,000
<b>სულ აქტივები</b>	<b>400,000</b>	<b>428,000</b>	მიღებული დივიდენდები	901
სააქციო კაპიტალი	300,000	300,000	საპროცენტო ხარჯები	-1,901

გაუნაწილებელი მოგება	35,000	54,000	მოგება დაბეგვრამდე	28,000
საბანკო სესხები	17,000	27,000	მოგების გადასახადი	-9,000
კრედიტორული დავალიანებები	48,000	47,000	მოგება დაბეგვრის შემდეგ	19,000
<b>სულ კაპიტალი და ვალებულებები</b>	<b>400,000</b>	<b>428,000</b>		

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - შვილობილი საწარმო	EUR	EUR	მოგება-ზარალის ანგარიშგება - შვილობილი საწარმო	EUR
ძირითადი საშუალებები	75,000	80,000	გაყიდვები	135,000
მარაგები	20,000	23,000	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-110,000
დებიტორული დავალიანებები	28,000	23,000	ცვეთა	-3,000
ფულადი სახსრები	22,000	20,000	სხვა ხარჯები	-3,500
<b>სულ აქტივები</b>	<b>135,000</b>	<b>146,000</b>	საპროცენტო ხარჯები	-500
სააქციო კაპიტალი	100,000	100,000	მოგება დაბეგვრამდე	18,000
გაუნაწილებელი მოგება	17,000	31,000	მოგების გადასახადი	-3,000
საბანკო სესხები	8,000	10,000	მოგება დაბეგვრის შემდეგ	15,000
კრედიტორული დავალიანებები	10,000	5,000		
<b>სულ კაპიტალი და ვალებულებები</b>	<b>135,000</b>	<b>146,000</b>		

თავდაპირველად, საჭიროა მომზადდეს ფულადი ნაკადების ანგარიშგება ორივე საწარმოსთვის ცალ-ცალკე (იხ. ცხრილი 3.2).

ცხრილი 3.2

	სათაო საწარმო (GBP)	შვილობილი საწარმო (EUR)
მოგება დაბეგვრამდე:	28,000	18,000
კორექტირებები:		
ცვეთა	18,000	3,000

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები, წმინდა	1,000	500
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებამდე</b>	<b>47,000</b>	<b>21,500</b>
ზრდა მოთხოვნებში	-4,000	-5,000
ზრდა მარაგებში	-8,000	-3,000
კლება ვალდებულებებში	-1,000	-5,000
<b>მიღებული ფულადი სახსრები ოპერაციებიდან</b>	<b>34,000</b>	<b>8,500</b>
გადახდილი პროცენტი	-1,901	-500
მიღებული დივიდენდი	901	
გადახდილი დივიდენდი		-1,000
გადახდილი საშემოსავლო გადასახადო	-9,000	-3,000
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>24,000</b>	<b>4,000</b>
ძირითადი საშუალების შეძენა	-23,000	-8,000
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>-23,000</b>	<b>-8,000</b>
შემოსავლები საბანკო სესხებიდან	10,000	2,000
<b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>10,000</b>	<b>2,000</b>
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება	11,000	-2,000
ფულადი სახსრები (წლის დასაწყისში)	80,000	22,000
ფულადი სახსრები (წლის ბოლოს)	91,000	20,000

ამ ეტაპზე საჭიროა გადათვლილ იქნას ყველა ცალკეული ფულადი ნაკადის პოზიცია, იმისთვის რომ ავსახოთ ისინი ერთ ვალუტაში, თუმცა რა კურსის გამოყენება უნდა მოხდეს ამისათვის?

ბასს 7-ის მიხედვით, უცხოური შვილობილი საწარმოს ფულადი ნაკადები გადაყვანილ უნდა იქნეს სამუშაო ვალუტაში, სამუშაო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის გასაცვლელი სავალუტო კურსით, ფულადი ნაკადების თარიღებისთვის. უცხოური ვალუტით გამოხატული ფულადი ნაკადების წარდგენა ანგარიშგებაში ხორციელდება ბასს 21-ის - „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“ - შესაბამისად. ამ სტანდარტით ნებადართულია ისეთი გასაცვლელი სავალუტო კურსის გამოყენება, რომელიც ახლოს არის ფაქტობრივ კურსთან. მაგალითად, მოცემული პერიოდის საშუალო შეწონილი გასაცვლელი სავალუტო კურსის გამოყენება შესაძლებელია უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების ასახვისათვის, ან უცხოური შვილობილი საწარმოს ფულადი ნაკადების გადაანგარიშებისათვის. ამასთან, ბასს 21-ით ნებადართული არ არის საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებული გასაცვლელი სავალუტო კურსის გამოყენება შვილობილი საწარმოს ფულადი ნაკადების გადაანგარიშების დროს.<sup>9</sup>

ე.ი. მოცემული მაგალითისათვის შესაძლებელია იმ კურსის გამოყენება, რომელიც იყო ტრანზაქციის განხორციელების დროს, ან საშუალო კურსი (იხ. ცხრილი 3.3).

ცხრილი 3.3

	შვილობილი საწარმო (EUR)	გაცვლითი კურსი	შვილობილი საწარმო (GBP)
მოგება დაბეგვრამდე:	18,000		14,907
კორექტირებები:			
ცვეთა	3,000	0.8188	2,456
ფინანსური შემოსავლები და ხარჯები, წმინდა	500	0.8188	409
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებამდე</b>	<b>21,500</b>		<b>17,773</b>
ზრდა მოთხოვნებში	-5,000	0.8188	-4,094

<sup>9</sup> ბასს 7 - „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“

ზრდა მარაგებში	-3,000	0.8188	-2,456
კლება ვალდებულებებში	-5,000	0.8188	-4,094
<b>მიღებული ფულადი სახსრები ოპერაციებიდან</b>	<b>8,500</b>		<b>7,128</b>
გადახდილი პროცენტი	-500	0.8188	-409
გადახდილი დივიდენდი	-1,000	0.9005	-901
გადახდილი საშემოსავლო გადასახადო	-3,000	0.8188	-2,456
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>4,000</b>		<b>3,362</b>
ძირითადი საშუალების შეძენა	-8,000	0.8188	-6,550
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>-8,000</b>		<b>-6,550</b>
შემოსავლები საბანკო სესხებიდან	2,000	0.8188	1,638
<b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>2,000</b>		<b>1,638</b>
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება/გაზრდა	-2,000		-1,551
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა			2,528
ფულადი სახსრები (წლის დასაწყისში)	22,000	0.7340	16,147
ფულადი სახსრები (წლის ბოლოს)	20,000	0.8562	17,124

აღსანიშნავია, რომ დაბეგვრამდე მოგების ფუნტებში გადასაანგარიშებლად არ გამოიყენება რაიმე კონკრეტული ტარიფი, იმის გამო, რომ მოგებისა და ზარალის მუხლებში მოცემულია სხვადასხვა ტრანზაქციის შედეგად მიღებული თანხები, რომელთაც განსხვავებული გაცვლითი კურსები შეესაბამებოდა. მაშინ საიდან ჩნდება თანხა - 14,907 ფუნტის ოდენობით?! ამ თანხის მისაღებად საჭიროა ისევ შვილობილი საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების განხილვა და მისი შესაბამისი კურსებით გადაანგარიშება (იხ. ცხრილი 3.4).

ცხრილი 3.4

მოგება-ზარალის ანგარიშგება - შვილობილი საწარმო	EUR	კურსი	GBP
გაყიდვები	130,000	0.8188	106,444
შიდაჯგუფური გაყიდვები	5000	0.8525	4,263
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-110,000	0.8188	-90,068
ცვეთა	-3,000	0.8188	-2,456
სხვა ხარჯები	-3,500	0.8188	-2,866
საპროცენტო ხარჯები	-500	0.8188	-409
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>18,000</b>		<b>14,907</b>
მოგების გადასახადი	-3,000	0.8188	-2,456
<b>მოგება დაბეგვრის შემდეგ</b>	<b>15,000</b>		<b>12,451</b>

ამის შემდეგ უნდა გავაერთიანოთ სათაო და შვილობილი საწარმოების შესაბამისი მუხლები (იხ. ცხრილი 3.5).

ცხრილი 3.5

	სათაო საწარმო (GBP)	შვილობილი საწარმო (GBP)	გაერთიანება
მოგება დაბეგვრამდე:	28,000	14,907	42,907
<b>კორექტირებები:</b>			
ცვეთა	18,000	2,456	20,456
ფინანსური შემოსავლები და ხარჯები, წმინდა	1,000	409	1,409
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებამდე</b>	<b>47,000</b>	<b>17,773</b>	<b>64,773</b>
ზრდა მოთხოვნებში	-4,000	-4,094	-8,094
ზრდა მარაგებში	-8,000	-2,456	-10,456
კლება ვალდებულებებში	-1,000	-4,094	-5,094
<b>მიღებული ფულადი სახსრები ოპერაციებიდან</b>	<b>34,000</b>	<b>7,128</b>	<b>41,128</b>

გადახდილი პროცენტი	-1,901	-409	-2,310
მიღებული დივიდენდი	901		901
გადახდილი დივიდენდი		-901	-901
გადახდილი საშემოსავლო გადასახადო	-9,000	-2,456	-11,456
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>24,000</b>	<b>3,362</b>	<b>27,362</b>
ძირითადი საშუალების შეძენა	-23,000	-6,550	-29,550
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>-23,000</b>	<b>-6,550</b>	<b>-29,550</b>
შემოსავლები საბანკო სესხებიდან	10,000	1,638	11,638
<b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>10,000</b>	<b>1,638</b>	<b>11,638</b>
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება/გაზრდა გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	11,000	-1,551 2,528	9,449 2,528
<b>ფულადი სახსრები (წლის დასაწყისში)</b>	<b>80,000</b>	<b>16,147</b>	<b>96,147</b>
<b>ფულადი სახსრები (წლის ბოლოს)</b>	<b>91,000</b>	<b>17,124</b>	<b>108,124</b>

შემდეგი ეტაპი შიდაჯგუფური ტრანზაქციების გამორიცხვაა. საამისოდ, როგორც წესი, უნდა მოხდეს იდენტური გაცვლის კურსის გამოყენება, რომელიც იყო გამოყენებული ინდივიდუალური მუხლების გამოსათვლელად.

განხილულ მაგალითში საჭიროა შემდეგი 3 ელემენტის გამორიცხვა:

I. დივიდენდები რომელიც არის გადახდილი შვილობილი საწარმოს მხრიდან არის შიდაჯგუფური ტრანზაქცია და თუ არსებობს იმის სურვილი, რომ აღვრიცხოთ ორი კომპანია, როგორც ერთი სამეურნეო ერთეული, ტრანზაქციის შედეგად არაფერი არ უნდა მოხდეს.

დივიდენდები უნდა გამოირიცხოს შემდეგი მუხლებიდან:

- მოგება დაბეგვრამდე: მშობლების მოგება გაზრდილია დივიდენდებით, ამიტომ უნდა შემცირდეს მისი რაოდენობა (უნდა მოხდეს დივიდენდების გამოკლება);
- ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების კორექტირება: დაემატა წმინდა ხარჯების რაოდენობა, მაგრამ ის იყო შემცირებული გადახდილი დივიდენდების ხარჯზე, ამიტომ უნდა გაიზარდოს მათი რაოდენობა ( უნდა ამოხდეს დივიდენდების დმაატება).;
- მიღებული დივიდენდები: საწარმოთა ჯგუფმა არ მიიღო დივიდენდები, შესაბამისად უნდა მოხდეს მათი გამოკლება;
- გადახდილი დივიდენდები: საწარმოთა ჯგუფს არ გადაუხდია დივიდენდები, შესაბამისად, დაემატება ამ მუხლში დივიდენდები.

აღსანიშნავია, რომ გამოყენებულ იქნა ერთი და იგივე კურსი ყველა ჩანაწერისთვის, რადგან მშობელმა აღიარა დივიდენდების შემოსავალი იმ პერიოდის კურსის გამოყენებით, როცა მოხდა ტრანზაქცია და გადახდილი დივიდენდები შვილობილის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში იყო გადათვლილი იდენტური კურსით.

II. შიდაჯგუფური სადებეტო და საკრედიტო დავალიანება 5000 ევროს ოდენობით. საბალანსო ანგარიშგების ანოლოგიურად, უნდა გაკეთდეს იგივეს:

უნდა გამოირიცხოს შემდეგი მუხლები:

- შვილობილ საწარმოს გააჩნდა დებტორული დავალიანება მშობელი საწარმოს წინაშე 5000 ევროს ოდენობით, რის შედეგადაც მისი სადებეტო დავალიანება გაზრდილია ამ თანხით. შიდაჯგუფური ვაჭრობა რომ არ მომხდარიყო, შემცირება იქნებოდა 5000 ევროთი ნაკლები, ამიტომ თანხა ისევ ემატება დებტორული დავალიანების მუხლს. საამისოდ გამოყენებულ იქნება საშუალო კურსი:  $5,000 \times 0.8188 = 4094$ ;
- მშობელ კომპანიას აქვს შიდაჯგუფური კრედიტორული დავალიანება 5000 ევროს ოდენობით. ამან გამოიწვია კრედიტორული დავალიანების შემცირება. ამ

შიდაჯგუფური დავალიანების არ არსებობის შემთხვევაში, შემცირება იქნებოდა 5000 ევროთი მეტი, შესაბამისად უნდა დააკლდეს ეს თანხა;

- მშობელი კომპანიი ფულადი ნაკადის ანგარიშგება იყო შედგენილი მისი საბალანსო ანგარიშგების გამოყენებით. და შიდაჯგუფური საკრედიტო დავალიანება იყო წალეხული დახურვის კურსის თანახმად:  $5000 \times 0.8562 = 4281$ ;
- სხვაობა 4094 და 4281 შორის წარმოიშვა სხვადასხვა კურსის გამოყენების შედეგად, და შესაბამისად საჭიროა აღინიშნოს 187 ფუნტი პუნკტში - „გაცლითი კურსის ცვლილების გავლენა“.

### III. არარეალიზირებული მოგება.

სათაო საწარმომ იყიდა მატერიალური მარაგი თავის შვილობილი საწარმოსაგან. შვილობილმა საწარმომ მიიღო მოგება 500 ევროს ოდენობით. წლის ბოლოს ეს მარაგი დარჩა გასაყიდი, რაც რეალურად ნიშნავს იმას, რომ გაერთიანებამ ვერ ნახა ვერანაირი მოგება და უნდა გამოირიცხოს ეს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. საამისოდ:

1. შვილობილმა საწარმომ მიიღო მოგება 500 ევროს ოდენობით და ეს აისახა ის დაბეგვრამდე მოგების მუხლში. საჭიროა მისი გამორიცხვა. შვილობილი საწარმოს მოგებაში შიდაჯგუფური გაყიდვები იყო განხორციელებული ფაქტიური კურსის გამოყენებით ტრანზაქციის განხორციელების პერიოდში, შესაბამისად გამოიყენება იდენტური კურსი არარეალიზირებული მოგების გამორიცხვისას:  $500 \times 0,8525 = 426$ ;
2. სათაო საწარმოს მარაგი არის გაზრდილი არარეალიზირებული მოგებით 500 ევროს ოდენობით. ეს აისახა მუხლში „ზრდა მარაგებში“. ამ მოგების გარეშე ეს ზრდა იქნებოდა უფრო დაბალი, ამიტომ უნდა დაემატოს ის უკან.

სათაო საწარმომ აღიარა მიმდენარე მარაგი ტრანზაქციის განხორციელების პერიოდის კურსით (ისტორიული კურსი).

მატერიალური მარაგი წარმოადგენს არაფინანსურ აქტივს და ამიტომ წლის ბოლოს ის არ იყო გადათვლილი დახურვის კურსის მიხედვით. შესაბამისად, უნდა დაემატოს შემდეგი:  $500 \times 0,8525 = 426$

შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირების შემდეგ კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ექნება შემდეგი სახე (იხ. ცხრილი 3.6):

ცხრილი 3.6

	გაერთიანება	გადახდ. დივიდენდები	შიდაჯგუფ. ბალანსი	არარეალიზ. მოგება	კონსოლ. ანგარიშგება
მოგება დაბეგვრამდე:	42,907	-901		-426	41,580
<b>კორექტირებები:</b>					
ცვეთა	20,456				20,456
ფინანსური შემოსავლები და ხარჯები, წმინდა	1,409	901			2,310
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებამდე</b>	<b>64,773</b>				<b>64,773</b>
ზრდა მოთხოვნებში	-8,094		4,094		-4,000
ზრდა მარაგებში	-10,456			426	-10,030
კლება ვალდებულებებში	-5,094		-4,281		-9,375
<b>მიღებული ფულადი სახსრები ოპერაციებიდან</b>	<b>41,128</b>				<b>40,941</b>
გადახდილი პროცენტი	-2,310				-2,310
მიღებული დივიდენდი	901	-901			
გადახდილი დივიდენდი	-901	901			
გადახდილი საშემოსავლო გადასახადო	-11,456				-11,456
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>27,362</b>				<b>27,362</b>
ძირითადი საშუალების შეძენა	-29,550				-29,550
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო</b>	<b>-29,550</b>				<b>-29,550</b>

<b>საქმიანობიდან</b>					
შემოსავლები საბანკო სესხებიდან	11,638				11,638
<b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>11,638</b>				<b>11,638</b>
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება/გაზრდა	9,449				9,261
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	2,528		187		2,715
<b>ფულადი სახსრები (წლის დასაწყისში)</b>	<b>96,147</b>				<b>96,147</b>
<b>ფულადი სახსრები (წლის ბოლოს)</b>	<b>108,124</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>108,124</b>

საბოლოო ჯამში ფულადი ნაკადების ანგარიშგებამ ნათლად გვიჩვენა მოცემული საანგარიშგებო წლის ფულადი ნაკადების მოძრაობა და საქმიანობის საბოლოო შედეგის გამოხატულება ფულადი სახით.

## დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შედგენა მოითხოვს, რომ დაწვრილებით იქნას შესწავლილი საწარმოთა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობები და ბუღალტრული აღრიცხვისადმი მათი მიდგომები. სათაო საწარმომ უნდა გაანალიზოს საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყოველი ოპერაცია და განსაზღვროს კონსოლიდაციაში მათი სამართილად ასახვის გზები. ნაშრომში ხაზგასმულია ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც სათაო საწარმოებს აქვთ ვალდებულება, წარმოადგინონ კონსოლიდირებული ანგარიშგებები. როგორც ნაშრომიდან ჩანს, ინდივიდუალური ანგარიშგებები ვერ უზრუნველყოფს საწარმოთა ჯგუფის მდგომარეობაზე ნათელი და ობიექტური ინფორმაციის მოწოდებას. გაერთიანებული საწარმოებიდან ყოველი მათგანი განაგრძობს არსებობას, როგორც ცალკეული იურიდიული ერთეული, თუმცა მათი საქმიანობა კონტროლდება სათაო საწარმოს მიერ და საქმიანობის შედეგები ერთიანდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში. ინდივიდუალურ ანგარიშგებათა კონსოლიდაციისათვის საჭიროა საწარმოთა ჯგუფის ყოველ საწარმოს ჰქონდეს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკა და მოახდინონ საანგარიშგებო თარიღების შესაბამისობა.

ნაშრომის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზნესის კომბინაციებს. მსგავსი კომბინაციები, ანუ გაერთიანებები სხვადასხვა სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის გაერთიანება იდენტიფიცირებულია საწარმოთა გაერთიანებად, მისი აღრიცხვა რეგულირდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით - ფასს 3-ით "საწარმოთა გაერთიანება" (IFRS 3 - Business Combinations). სტანდარტის მიხედვით, გაერთიანების მონაწილეთა შორის უნდა დადგინდეს მყიდველი საწარმო და ბიზნესის გაერთიანება აღრიცხოს მყიდველთან შესყიდვის მეთოდით. გარდა ამისა, საწარმოთა გაერთიანებისას უმნიშვნელოვანესია შესყიდვის დროის დადგენა, იდენტიფიცირებადი აქტივებისა და

ვალდებულებების განსაზღვრა, გუდვილის, არამაკონტროლებელი წილისა და ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული ფასეულობების სწორად შეფასება და აღიარება;

- მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანება უნდა შეაფასოს მხოლოდ და მხოლოდ იმ შეძენილი აქტივების და აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, რაც შეძენის თარიღისათვის რეალურად გაიცვალა კომპანიებს შორის;
- საწარმოთა კონსოლიდაციაში ჩართვამდე, აუცილებელია დადგინდეს გააჩნია თუ არა საწარმოს კონტროლის უფლება. სწორედ კონტროლის არსებობა წარმოადგენს კონსოლიდაციის საფუძველს, ამიტომ მის განსაზღვრებასა და დადგენას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება;
- გაერთიანებულ საწარმოთა შორის მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ოპერაციები, რომლებიც შიდაჯგუფური ოპერაციების სახელით არის ცნობილი და კონსოლიდაციის მიზნებიდან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან უნდა მოხდეს მათი გამოცალკევება;
- საწარმოთა შესყიდვა არ ნიშნავს მყიდველი საწარმოს მიერ შეძენილი საწარმოს კაპიტალის სრულ შეძენას. ამის გამო, საჭიროა მოხდეს კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი წილების იდენტიფიცირება;
- შიდაჯგუფური ოპერაციების შედეგად, შესაძლოა წარმოიშვას არარეალიზებული მოგება, რომელიც აუცილებლად უნდა ამოითიშოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან;
- თუ საწარმოთა ჯგუფის შიგნით განხორციელდა ძირითადი საშუალებების მიყიდვა, საჭიროა კორექტირება გაკეთდეს იმ სიტუაციის აღსადგენად, რომელიც იარსებებდა გაყიდვა რომ არ განხორციელებულიყო. საამისოდ, კონსოლიდირებული ანგარიშგებებიდან უნდა ამოითიშოს არარეალიზებული მოგება და ცვეთა უნდა დაეფუძნოს აქტივის თავდაპირველ ღირებულებას ჯგუფთან მიმართებით.

მართალია, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საწარმოთა ჯგუფის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას გვაძლევს, თუმცა საჭიროა აღინიშნოს ის უარყოფითი მხარეებიც, რაც კონსოლიდაციის შედეგად იჩენს თავს:

- როდესაც ხდება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებათა კონსოლიდაცია, შემოსავლები ხარჯები და წმინდა მოგება წარმოჩინდება, როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის მაჩვენებლები. ამან შესაძლოა გარკვეულწილად დამალოს საჭირო ინფორმაცია. მაგალითად, თუ რომელიმე შვილობილმა საწარმომ წლის განმავლობაში დაბალი გაყიდვების მაჩვენებლის გამო დაკარგა ფულის არსებითი რაოდენობა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს შესაძლოა გამოეპაროს ეს ფაქტი, რადგან შვილობილი საწარმოს დანაკარგი ანაზღაურებული იყო სათაო კომპანიის მოგებით;
- კონსოლიდაციის დროს, საწარმოებს შორის შიდაჯგუფური ოპერაციები ამოითიშება კონსოლიდირებული ანგარიშგებებიდან. ერთი მხრივ, ეს იძლევა უფრო სწორ წარმოდგენას საწარმოთა მდგომარეობაზე, რადგან ასახავს მხოლოდ ჯგუფს გარეთ არსებულ აქტივობებს, თუმცა, მეორე მხრივ, იმალება შიდა ტრანზაქციები, მათი მასშტაბები და ეს ფაქტი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საწარმოების მხრიდან მანიპულაციებისა და გადასახადებზე ზეგავლენისათვის;
- ერთ-ერთი გზა იმისათვის, რომ ინვესტორებმა შეაფასონ საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობა, არის კოეფიციენტები, რომლებიც გამოითვლება ფინანსური ანგარიშგების მუხლების ფარდობით. მაგალითად, ლიკვიდურობის კოეფიციენტი მიიღება მიმდინარე აქტივების გაყოფით მიმდინარე ვალდებულებებთან. ეს კოეფიციენტი ინვესტორებს შესაძლებლობას აძლევს, შეაფასონ თუ რამდენად კარგად შეძლებენ საწარმოები მოკლევადიანი ვალდებულებებების დაფარვას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თითოეული საწარმოს აქტივები, ვალდებულებები და შემოსავლები გაერთიანებულია, რის გამოც, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე დაფუძნებული ფინანსური კოეფიციენტები შესაძლოა არ იყოს წარმომადგენლობითი საწარმოთა

ჯგუფის ყველა საწარმოსათვის და თუკი ერთ-ერთ საწარმოს აქვს აქტივების დაბალი მაჩვენებელი ვალდებულებებთან შედარებით, ეს შესაძლოა არ გამოჩნდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან.

ამდენად, საჭიროა სწორად შეფასდეს ის სარგებლები, რისი მოტანაც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას შეუძლია, თუმცა არც ინდივიდუალურ ანგარიშგებათა მნიშვნელოვნება უნდა იქნეს შემცირებული და საჭიროა განისაზღვროს რა ტიპის ინფორმაციის და მისი რა მიზნით მიღებაა საჭირო ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

ვფიქრობ, დღევანდელი საბაზრო მდგომარეობის ფონზე, როცა სულ უფრო და უფრო მეტი საწარმო იღებს გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილებას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია და მასზე მუშაობა კიდევ გაგრძელდება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასს 7 - „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“, 2018წ;
2. ბასს 28 - „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“, 2018წ;
3. ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“; 2018წ;
4. ბასს 38 - “არამატერიალური აქტივები”, 2018წ;
5. ფასს 3 - "საწარმოთა გაერთიანება", 2018წ;
6. ფასს 10 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, 2018წ;
7. კვატაშიძე. ნ, კორპორაციული ანგარიშგება, თბილისი, 2018წ;
8. ხარაბაძე. ე, ფინანსური აღრიცხვა, თბილისი, 2018წ.
9. ხარაბაძე. ე, ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე), თბილისი 2018წ.
10. A guide to IFRS 3 Business combination. Deloitte,2004
11. ACCA – F7, „ფინანსური ანგარიშგება“;
12. Basis for Conclusions on IFRS 10 Consolidated Financial Statements, 2015.
13. Under control? A practical guide to applying IFRS 10 Consolidated Financial Statements, grant-thornton, Insights into ifrs-10-financial-statements, 2017
14. [www.accaglobal.com](http://www.accaglobal.com)
15. [www.accountingnotes.net](http://www.accountingnotes.net)
16. [www.fin-accounting.ru](http://www.fin-accounting.ru)
17. [www.financetrain.com](http://www.financetrain.com)
18. [www.grantthornton](http://www.grantthornton)
19. [www.imaa-institute.org](http://www.imaa-institute.org)
20. [www.nauchkor.ru](http://www.nauchkor.ru)
21. [www.investopedia.com](http://www.investopedia.com)
22. [www.pwc.com](http://www.pwc.com)